ᲗK 624/3

Ე. Ნ. ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲜᲘ

ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

I. მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის.

II. ყანჩაეთის ტყავის სახარება და მისი მინაწერები.

ᲤᲝᲗᲚᲘᲡᲘ.
ელექტრო-მბეჭდავი ს. Შ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საყ. სახ. № 5
1913

მცირე შენიშვნა ქართველთა მწერალთათვის [1]).

1.

მეფე დავით აღმაშენებელისათვის.

წმინდა და დიდსი მეფე საქართველოჲსა და ათხაზთა დავით აღმაშენებელი ბაგრატოვანი. ესე სიყრმითვე აღიზარდა ღვთის სიყვარულისა სწავლასა და საღრმთოთა და საფილოსოფოსოთა სწავლათასა შინა; ჟამთა წინაპართა ამა მეფესათა მოვიდნენ საქართველოსა შინა აგარიანნი, სახლეულითურთ ოჯსით ვიდრე სამი ათასი მოსახლე კაცნი და დაიპყრეს საქართველო და დაეშენენ სამთა მდინარეთა სანაპირეთა ზედა, ესე იგი მტკვარსა, ალაზანსა და იორსა ზედა. სახითა ამით მათ ელისა მთავართა განიყვეს ამ სახეთ ადგილნი ესე: ერთი მთავართაგანი ასი ათასისა კომლისა კაცითა დაესახლა მტკვრისა კიდესა ზედა ამიერ და იმიერ, სურამითგან ვიდრე განჯამდის; მეორე მთავარი დაესახლა ასი ათასისა კაცითა იორის მდინარის კიდესა ზედა, მთიანეთითგან (sic) ვიდრე ალაზანისა შესართავადმდე, რომელიცა ერთვის მახლობელ სამეხისა; ხოლო მესამე მთავარი დაესახლა ასი ათასისა კომლისა კაცითა პანკისიდამ ალაზნის სანაპიროსა ზედა—ვიდრე ივრისა შესართა-

№ 3624

---

[1]) ეს წერილი იბეჭდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ საცავის კრებულიდან № 3677, რომელიც წინეთ ეკუთვნოდა პროფესორი დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკას. ცნობები ქართველთ მწერალთა შესახებ აქ იწყება მეფე დავით აღმაშენებელით და თავდება ალექსანდრე ჭავჭავაძით. ეს ნაწილი კრებულისა შეიცავს სულ 35 ფურცელს in 4° ნუსხა მხედრულის ხელით ნაწერს და ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის ნახევარს. მართლ-წერა ტექსტისა ერთგვარი არ არის და არც ჩვენ ვიცავთ. სათაურები ზოგ მწერალთა გვერდზე უწერია და ზოგს სრულებით არა აქვს. ჩვენ ყველას უკეთებთ სათაურს. აგრ. თვე ციფრების დასმა გვეკუთვნის ჩვენვე, ორიგინალში ციფრები სათაურებს არა აქვს.

ე. თ.

ფუნდამენტალური ბიბლიოთ. Фундаментальная

ვადმდე მახლობელ სამუხისა და დაიპურეს სახითა ამით ქართლი და კახეთი და დაუწყეს დევნა, ტუვეობა და აოხრება ქართლსა და კახეთსა შინა მცხოვრებთა, და ესე ცარიელ ჰუვეს ადგილნი ესე, რომელ თუ არა მთათა და სიმაგრეთა შინა არდარა იპოებოდნენ მცხოვრებნი ერნი ქართველთანი; მხოლო განგებითა ღვთისათა არა მიეღო ტახტი წინაპართა თჳსთა დავითმან და იქმნა მეფედ ათხაზთა და იმერთა. შემოკრებნა იდუმალ მხედრობანი და დანაშთი ქართველთანი დროსა ზამთრისასა და გარდახვეტეს მთაჲ საფიჩხისა და დაესხნენ იდუმალ სურამსა მდგომთა თათართა და შეწევნითა ღვთისათა ამოსწყვიტნეს მრავალნი და ტუვეთ ჰუვეს სულნი რაოდენნიმე ათასნი და ადიგსნეს ალაფითა მათითა; და უკუნიქცნენ მძლეველნი, კვალად რაოდენისამე ხნისა შემდგომად უმეტეს განიმრავლა მხედრობანი დავით და დაესხნა კვალად თათართა და ასწყვეტნა იგინი და სახითა ამითა სრულიად შემუსვრნა მოსახლენი იგი ელნი და დანაშთნი განიდტვენ ქვეყანასაგე თჳსსა; შემდგომად კახეთსა შინა მოსახლენიცა თათარნი შეიყვანა ბირველისაებრ ხვედრსა შინა და დაატევებინა ადგილი ესე და მერე იწყო შენობად დაქცეულთა ქალაქთა და დაბნებთა საქართველოსათა და რაოდენისამე წლისა მოიყვანა ბირველსავე მდგომარეობასა შინა და ადაშენნა კეთილად და განაწყო მხედრობანი და ყოველთვის მზად ჰუუ როჭიკით სამეოცი ათასი მხედარი; ამან ადაშენა გელათის ეკლესია; ადიდო ტრაპიზონი და ადაშენა მუნ მონასტერი და ეკლესია და დაიპურა არზრუმი და გარემონი მისნი, აიდო ციხე დარუბანდისა და კარნი რკინისანი მოიდო მის ციხისანი და ქმნა კარებად გელათისა ეკლესიისა და მრავალნი ძღვანი შეიმოსნა თურქთა ზედა. ჟამსა თფილისის ადებისასა აღიდო ეაზანი და სძლო ხაზართა; და მრავალთა განსაცდელთაგან ჰფარვიდა ღმერთი; და ოდეს მოიცალეს სამეფო საქმისაგან, იყო განკრძალულ ლოცვასა და ვედრებასა შინა ღვთისასა, და იკითხვიდა სამღრთოთა წერილთა, და მეტადრე სამოციქულოსა და გრიგოლი ღვთისმეტყველისა წიგნსა; ხოლო ერთა მეფობისა ამისსა იქმნა კრება ადგილობითი სომეხთა და ქართუსტთა შორის და იყო მუნ მეფეცა, და აქუნდათ სამღვდელოთა ჰსჯულთა ზედა ბასი ურთიერთისა შორის, გარნა ვერვინ ძალიდვა დაეოფად ბირისა

სომეხთა და მაშინ მეფემან მიიღო ნება მდვდელთა-მთავართაგან, და უწყო ბასი სომეხთა, რომელმანც დაუყო ბერი ყოველთა და სირცხვილეულ იქმნენ, და მრავალთა სომეხთა მიიღესთ სარწმუნოება მართმადიდებელთა და ესრედ კეთილად განვლო ცხოვრება თვისი, და შეირაცხა წმიდათა შორის, ვითარცა უვრცელეს ჭსწერია ცხოვრება და სქმენი მეფისა ამისი საკუთარსა მეტაფრასსა შინა ამა მეფისასა და ამისთვის მიიღო ტიტლოჲ ადმაშენებლობისა ერთაგან საქართველოისათა, ვინაჲთგან ამან აღაშენა თათართაგან დაქცეული ქუჱყანები და ამასთანავე ღერბსა ამა მეფისასა შესძინეს ცხენი რქოსანი, რომელიც მოიპოა თვით მეფემან მიმავალმან მარტომ ტფილისიდგან ქუთაის საშენებელად; ესრეთ რომელ იხილა მცხეთის იწრათა ადგილთა შინა ცხენი ესე რქოსანი, დაუძახა მეფემან, და მოვიდა მეფისათანა, და შეიპყრა მეფემან და მაშინ მოვიდნენ მონანიცა მეფისანი და ბრძანა მეფემან შეკაზმა ცხენისა ამის და აღუდვა ლაგამი წმინდის გიორგის ცხენისა, რომელიც აწ არს გელათსა შინა მიზეზითა ამით, რომელ სული არა იყოს რა ცხენი იგი, გარნა განგებითა ღ~თისათა მოეცა ცხენი იგი, რომელ დღე ყოველ ვლიდა უშენთა ადგილთა შორის, და აგულსმოდგინებდა მუშაკთა, რომელ ცხენი იგი ესრეთი იყო მკვირცხლ და მალი, რომელ ერთს დღეს ადრე მივიდის ტფილისითგან ქუთაის და მუნითგან ქართლს, და ქართლითგან კახეთს და ესე ცხენი არცა გახდის და არცა მოიდალის და მაშინ სცნა წმინდამან, რომელ ცხენი ესე მოეცა განგებით, რათა მალად მოვლიდეს თვისთა ქუჱყანათა და განამხნობდეს მუშაკთა და ესრეთ განვლო ცხოვრება თვისი სიწმინდით, და მერე უფლისადმი მიიცვალა, და აწ ვდღესასწაულობთ იანვრის თვის ოცდა ექუსსა.

2.

იოანნე კათოლიკოზისაოვის.

იოანე კათალიკოზი ქართველი იყო ძველთა არისტოტელისა და სხვათა ფილოსოფოსთა სწავლათა შინა გამოცდილი მოძღვარი, კეთილ მასწავლელი და მშვენიერი მსიტყველი, რომლისა გამო მიიღო მეფისა და ერთაგან ზედწოდება ოქროპირად.

3.

მამა არსენი კათოლიკოზისათვის.

მამა არსენი კათალიკოზი ქართველი. ესე იყო ფილოსოფოს ღ´თისმეტყველი, და მოქადაგე, ამან შეაწყო საგალობელნი რამდენიმე ქართველთ წმინდათა, და განმართა ხმაზედ ქართულსა ეგრეთ-წო-ი-ყო მწერლობაშიაც გამოცდილი, ძალადსა ფრანგსა ზედ შემთხუზ-ულ-ი.

4.

ნიკოლოზ კათოლიკოზისათვის.

ღირსი ნიკოლოზ კათოლიკოზი, ქართულ-ი მეცნიერი, სწავლასა და საძღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, ამან მოიღოცა იერუსალიმი, და დაესწრა კრებასა შინა და სიბრძნითა თვისითა ამხილა მწუალებელთა, და შერე კუალად მოწოდებითა მოვიდა საუდარსა ზედა თვისსა და მრავალნი სწავლანი შესძინა, და კეთილად განვლო ცხოვრებაჲ თვისი.

5.

იოანნე კათოლიკოზისათვის.

მამა იოანნე მეორე, აღზრდილი მონასტერსა შინა წ´ისა შიო მღვიმელისასა, სათეღოსოფოსოთა და საძღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, აგრეთ-ულ-ი მონოზონთა შინ წესთა აღმასრულებელი, და მარტოებით ცხოვრებისა მოუყვარე, იძულებით დადგინებულ იქმნა მწყემსთ-მთავრად კათოლიკოზობისა ხარისხითა. ამან განამრავლნა სწავლანი და კეთილად მწესიდა საქმესოთა თვისთა, რომელთაც ქართველნი ესერე ყასიდად ხმობდენ, და ესრეთ სიწმინდით განვლო ცხოვრება თვისი.

6.

მეორე არსენი კათოლიკოზისათვის, რომელი იყო ბულამისძე [1]).

ესე ნეტარი არსენი კათოლიკოზი ბულამისძე ქართველი იყო, მონოზონებით სრული და ღ´თის მეტყველი, ფილოსოფოსი. ამან შეაწყო

[1]) უნდა იყოს ბულმაისისძე.

მეტაფრასნი შაირად მშვენიერსა ენასა ზედა, და სხვანიცა სწავლანი და ჰირი მღვთისა, ანუ მღ´თაების ხატის საგალობელნი, მშვენიერ ენასა ზედა რიტორულებ დათხზული, რომელიც წარევლინა გელათიით ვარდანის აბუსარის მთავარსა და მშვენიერ ოხზულებითა ათონ შას, და სხვანიცა მრავალნი მითვინა აშერ-იშერითა შიშართ.

7.

შეორე ნიკოლაოზ კათოლიკოზისათვის.

ნიკოლაოზ მამათ-მთავარი კათალიკოზი ქართველი. ესე იყო სწავლათა შინა გამოცდილი, კალობათა შინა სრული და მშვენიერი მესტიხე, რომელმანც შეაწყო სხვა და სხვა კალობანი სტიხებისა გუართა ზედა და კეთილად დამწესო სამწესოა თვისი და ესრეთ მშვიდობით განვლო ცხოვრებაჲ თვისი.

8.

მესამე ნიკოლაოზი კათოლიკოზისა, ლეონ მეფის ძმის ბაგრატიონისათვის.

ესე ნიკოლაოზ კათოლიკოზი მეფის ლეონის ძმა ბაგრატიონი. მონოზონობით სრული. და წმინდა ღირსი კაცი, სწავლათა შინა გამოცდილი, და ღ´თის მეტეველებასა შინაცა მიწეგნილი, რომელიც ძველთა სწავლათა და კითხვათა მისდამი ადგილად და ნათლად იყო განმარტებული, ამან კეთილად დამწესო ეკკლესია თვისი და უკანასკნელ უფლისად მშვიდობით დაიძინა.

9.

ბესარიონის კათოლიკოზისათვის, მეფის ლეონის ძის ბაგრატიონისა.

ღირსი მწყემსთ მთავარი, მეფის ლეონის ძე, კათალიკოზი ბესარიონ ბაგრატოანი, მონოზონობით სრული და მოღვაწე ეკკლესიებთა. სიბრძნის მოყვარებასა შინა სრული, და მქადაგებელი შეზვა-

ვსად ხავლე მოციქულისა. ამან შეთხზა ქართველთ წმინდათა ცხოვრება და ისტორია, ამან დასწერა ლათინთა სარწმუნოებისა ხირის დასაყოფელი წიგნი გურდემლად წოდებული და კეთილისა ცხოვრებითა დაიძინა უფლისად.

10.

მამა დომენტი კათოლიკოზისათვის.

მამა დომენტი კათალიკოზი მეფის ნაიბისა ლეონის ძე ბაგრატოანი და ძმა ვახთანგ მეფისა. ესე იყო მონოზონებით სრული, მეცნიერი და სადმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, ამასთან მეუდრო, მშვიდი და მდაბალი და ფრიად მლოცავი, ხოლეტიკასა შინაცა კარგი, ესრეთ რომელ მტერნიცა მისნი ევარობდენ, და მრავალ გზის დაშვრა ესე ქართველთათვის ყაენთან თუ ხონთქორთან გაგზავნით, და ესრეთ კეთილად დაასრულა ცხოვრება თვისი.

11.

მამა არსენი ეპისკოპოზისათვის.

ესე მამა არსენი ეპისკოპოზი ნინოწმიდისა იყო ქართველი, ფილოსოფოსი და ღᲜთის მეტყველი, წმინდათა წერილთა კეთილად მთარგმნელი და ძნელთა და ღრმათა წერილთა ადვილად ადმხსნელი; მონოზონებით სრული და მობაძავი ანგელოზთა. ამან კეთილად დამწესო ეკკლესია თვისი და ესრეთ დაიძინა.

12.

იოანე ბოლნელისათვის.

ესე ღირსი მამა იოანე ბოლნელი იყო გამოცდილი სფილოსოფოსთა სწავლათა შინა და აღძრცვილი ღᲜთის მეტყველი, და წერილთა მადალთა ზედა დამთხუზველი. ამან მრავალნი სწავლანი გამოსცა და მრავალნიცა განანათლნა მოძღვრებითა თვისითა და კეთილისა მონოზონებისა განვლო ცხოვრება თვისი.

13.

ანტონი ჭეოინდღისათვის გარესჯელისა.

ესე ანტონი ჭეოინდელი მიტროპოლიტი ოდიშთა და ლეჩხუმთა, იეო თეოლოსოფოს ღ˜თის მეტყველი და სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, მქადაგებელი მზგავსი ძველთა მეცნიერთა, ბაქრობასა შინა გამოცდილი, რომელ ჟამსა მეფობისა ბაგრატისა აქვნდა ბასი ლათინთა პატრთადმი, რომელმანცა დაუეო ხირი, და კეთილად დამწესო სამწესო თვისი და შესძინა მონასტერთა მრავალს, და შეეწია ბრძოლათა ზედა სპარსთასა მეფეთა ჩუენთა და ძლევა შეიმოსა მუნ და მერე დაუტევა მართებულობა საეკლესიოთ თვისისა და მოდუაწებით განვლო ცხოვრება თვისი.

14.

იაკობ შემოქმედელის გურიელისათვის.

მამა იაკობ შემოქმედელი გურიელი. ესე იეო თეოლოსოფოსი, და კეთილი მოშაირე, ღრმად მწერალი, და ძნელთა ადვილად ამხსნელი, და მწესოდა სამწესოსა თვისსა კეთილად, და მერე წარვიდა იერუსალიმად, და მუნიდამაც წარმოსცნა წერილნი, და გარდაიცვალა მუნ, და დაეფლა ქართუელთა მონასტერსა შინა.

15.

იოსებ თბილელისა საკასმისთვის.

იოსებ ტფილელი არხიერი საკასძე. ესე იეო საეკლესიოთ-სოთა და წერილთა შინა გამოცდილი, საუკარელი მეფეთა და ერთაგან, ამან შეიხზა სხვა და სხვა ბიბლიკანი, ანუ შაირნი სასმენელად საამონი, და ესრედ განვლო ცხოვრება თვისი კეთილად.

16.

მამა ნიკოლაოზ ეპისკოპოზისათვის.

მამა ნიკოლაოზ ჩერქეზისშვილი, რუსთველ ეპისკოპოზი, კაცი სწავლული საეკლესიოთ ხელოვნებასა შინა და სამღრთოთა წე-

რილთა, მქადაგებელი ეოველს გვარსა ზედა, და მადალ მოუბარი, მანა შეთხზა სხვა და სხვა აკოლოთიანი მშვენიერ ენასა ზედა, რომელსა აქუნდა წერათა შინა კარგი სისტემა, და მერე უფლისად დაიძინა.

17.

ნიკოლაოზ ორბელიანის მროგველ მიტროპოლიტისათვის.

მამა და მწყემსთ მთავარი ნიკოლაოზი ორბელიანი საფილოსოფოსოთა ხელოვნებათა შინა მიწევნილი და სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, ამან მრავალნი იამბიკონი შეაწყო ქართუსტლთა წმიდათათვის და სხვანიცა კიდურ წერილნი, ფრიად მშვენიერნი, რომელნიცა აწცა ფრიად საქებ არიან, და კეთილადცა დამწესო სამწესონი თვისნი, და მერე უფლისად დაიძინა.

18.

წმინდა იოანე მანგლელისათვის.

წმინდა იოანე მანგლელი, სამღვდელოთა წერილთა შინა გამოცდილი, და აღძრცვილი ღთის მეტუველი. ესე წმინდათა შინა არს შერაცხილ, რომელმანცა იღვაწა მზგავსად ძველთა დიდსთა მამათა, და კურნებასაცა ეოფდა და ესრეთ სიწმინდით შეეგვარა სული თვისი ხელთა შინა ღთისათა, და აწ საფლავი მისი არს სიონის ეკეკლესიასა შინა, წინაშე ღთისმშობლის ხატისა და ჭეოფს აწცა სასწაულთა.

19.

მამისა ილარიონი კახისათვის.

წმინდისა ამის ილარიონის კახისა ცხოვრება ზეითაც მოგახსენეთ, გარნა ესე იეო ღთის მეტუველი ფილოსოფოსი და საქართველოსა შინა პირველი მოარგმნელი ელინურის ენისაგან ქართულათ, რომელ ამისა ჯერეთ არვის ეთარგმნა საღრმოო წერილნი, და ამან მრავალი

შრომა მიიღო და მრავალნი კეთილნი თესლნი დათესნა ქართველთა შორის და მერმე ყამსა მოხუცებულებისასა სული თვისი შეეფარა ხელთა ანგელოზთასა თესალონიკეს.

20.

მამისა იოანესათვის.

ცხოვრება ღირსისა ამის მამისა იოანესი ზემორეცა მოგახსენეთ, და ღირსი მამა ესე იყო ზედ მიწევნილი სათვალთსოფოსოთა სწავლათა შინა, გამოცდილი და დიდი ღᲗᲘᲡ-მეტყველი. მუსიკათა შინა მეცნიერი და მშვენიერი მუსიკოსი. ამან თარგმნა" მრავალნი სამღთო წერილნი, და განამრავლა მეცნიერება ქართველთა შორის, და კეთილად თხზვიდა ᲰᲘᲢᲘᲙᲐᲗᲐ, და მერე სიწმინდითა ათინას მთასა შინა სული თვისი შეეფარა უფალსა.

21.

მამა თორნიკიოზისათვის.

ღირსი მამა თორნიკიოზ იყო ძირითა ქართველი და მსახურა ბერძენთა კეისარსა, და განითქვა სიმხნე ამისი საბერძნეთსა შინა, და უკანასკნელ იქმნა თავისუფალ მსახურებისაგან, რომელმანცა მრავალნი ძლევანი შეიმოსნა თურქთა ზედა და მერე მივიდა მთასა ათონისასა და იქმნა მონოზონ, და აღწერა სულიერნი წერილნი, და დიდითა ღვაწლითა და შრომითა განვლო ცხოვრება თვისი.

22.

ევთვიმე ათონელისათვის.

ღირსი მამა ევთვიმე ათონელი, ზემორეც მოგახსენეთ, თუ ვითარ იქმნა მეცნიერ, და ესე იქმნა მღვდელ-მონაზონ, და ძერე დაიდგინა ათანასი ათონელისაგან მონასტრისა ძმათა წინამძღვრად. და ესე ევთვიმი იყო ფრიად სიბრძნის მოყვარე, და დიდი ღᲗᲘᲡ-მე-

ტუუ̂ᲮᲚი, ელინურთა ენათა მეცნიერი, რომელმანც მრავალნი საᲛᲔრთო წერილნი გარდმოიდო ქართულსა ენათა ზედა, და განგვიმრავლნა წერილნი, და მერე უფლისად მიიცვალა.

23.

მამისა იოანე ხახულელისათვის.

ესე ღირსი მამა იოანე ხახულელი იყო იმერეთით, დიდი ღᲜთის-მეტუუ̂ᲮᲚ-ფილოსოფოსი, და მშვენიერ ფრასზედან მწერალი და მქადაგებელი, რომელმან განანათლნა ათხაზ-გურიელნი, ოდიშ-ლეჩხუმნი და სვანნი, იმერნი, ქართველნი და კახნი სიბრძნითა თვისისითა და მრავალნი კეთილნი სწავლანი გამოსცა, რომელსა ქართუ̂ᲮᲚნი უწოდენ თათვლის მოლად მშვენიერებნობისათვის (sic) მისისა და ესრეთუ̂Ხ მესხნიცა მოსათლნა, და მერე სიწმინდით და მუდრობით განვლო ცხოვრება თვისი.

24.

მამა ზაქარიასათვის.

მამა ზაქარია, ძე მირდატ ჩინებულისა, იყო ღᲜთის-მეტუუ̂ᲮᲚ ფილოსოფოსი და დიდი რიტორი, ბერძენთა ენათა ზედ მიწევნილი და ქართულისაცა, რომელმანც სთარგმნა წერილი და თვითცა დათხზნა სხვა და სხვანი სწავლანი, რომელსა ქართუ̂ᲮᲚნი სახელს დებდენ ქართველთა მზედ, მეცნიერებისა გამო თვისისა, და ესრეთ კეთილად განვლო წელნი თვისნი.

25.

ღირსი მამა გრიგორისათვის.

ღირსი მამა გრიგორი, ახალ აბრამად წოდებული, იყო ქართუ̂ᲮᲚი, სიბრძნისა მოუვარებასა შინა და ღᲜთის-მეტუუ̂ᲮᲚებასა გამოცდილი. ამან სიყრმითგანვე თვისით მოიგო სიწმინდე, და იქმნა მონოზონ, და შეიკრიბნა მრავალნი მოწაფენი, რომელ მამა აბრამად სა-

ხელდვეს, და განანათლნა ერნი სწავლითა თვისითა, და ესრეთ სიწმინდით განვლო ცხოვრება თვისი.

26.

გიორგი ათონელისათვის.

მამა ღირსი გიორგი ათონელი იყო ხედვითა და საქმითა ხელოვნებათა შინა სრული, დიდი ღ˜თის-მეტყველი და დოდმატიკოსი, მშვენიერი რიტორი, საეკლესიოთა წერილთა კეთილად შემწყობი და მოქადაგე კეთილი, და პიიტიკოსი, მოდვაწებითა სრული, ობოლთა და ქვრივთა გამომზრდელი, რომელმან ყამსა სიყმილისასა მრავალნი სულნი გამოზარდნა და დავრდომილთა შეეწია და ესრეთ განვლო ცხოვრება თვისი.

27.

ძამასა ილარიონ თუალველისათვის.

მამა ილარიონ თუალელი, მოძღვარი გიორგი ათონელისა, სიბრძნის მოყვარებასა შინა სრული, სათნოებისა სარკე, სარკე და მმარხველთა კანონი, ამან მრავალნი მოწაფენი განსწავლნა, და გამოიდო ნაყოფნი კეთილნი, და სიწმინდითა განვლო ცხოვრება თვისი.

27.

მამასა არსენასაოვის.

ესე მამა ღირსი არსენი იყო ქართუსტი, ისწავა ბერძული ენა და იქმნა ფილოსოფოს, და თარგმნა ღ˜თის-მეტყველება და სხვანი წერილნი, რომელ თვით ბერძენთა მეცნიერნი დიდსა რიტორსა უწოდებდენ, და აქებდენ სიწმინდითა და მონოზონებითაცა, და ამან, რაჲცა აქუნდა ქართუსტთა ეკლესიებთა ნაკლულევანება, შეამკო ოფლითურთ, და გამართნა და მერე უფლისად დაიძინა.

28.

ანტონი მნათისათვის.

მამა ანტონი მნათი ქართველი, ღᲗᲘᲡ-მეტყველ-ფილოსოფოსი და მთარგმნელი წერილთა; უბნობასა შინა მᲬᲔᲕᲠ მეთქვი, და მშვენიერი მეხზველი, და მქადაგებელი, რომელიცა იწოდებოდა დიდ მეცნიერად; ამან კეთილად განვლო ცხოვრება თვისი, და მრავალნი ნაყოფნი სწავლისანი გამოიღო, და მერე უფლისადმი მიიცვალა.

29.

ვასილი ბაგრატიონისათვის.

ღირსი მამა ვასილი ბაგრატიონი იყო სიფილოსოფოსთა და ღᲗᲘᲡ-მეტყველებასა შინა ზედ მიწევნილი, მთარგმნელი სხვათა ენათაგან ფრიად კეთილი და რიტორ მომთხრობელი, და მადალ ფრაზსა ზედა დამთხუზველი, მონოზონებითა სრული, და განმანათლებელი ეკლესიებთა, რომელსა უწოდეს ქართუᲬᲚთა ეკლესიათა სამკვალად.

30.

მამისა გიორგისათვის.

მამა გიორგი ქართველი იყო ᲮᲘრველ დრამატიკოს-რიტორი და ამნაურთა ხელოვნებითა სრული, რომელმანცა მრავალნი წერილნი განამრავლა ქართველთა და სრულისა მონოზონებითა დაასრულა ცხოვრება თვისი.

31.

ღირსი მამა გიორგისათვის.

ღირსი მამა გიორგი იყო ქართუᲬᲚი, ამან სიყრმითგან თვისით დაიცუა სიწმინდე თვისი, დაისწავა ამნაურებითი ხელოვნება და იქმნა ფილოსოფოს და სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილ. უკანასკნელ იქმნა მონოზონ და წარვიდა და დაეუფლა სვიმონ დიდისა მთისა საკვირ-

ველისა შორის, და სცხოვრებდა მუნ მუუდრეებით, და მსოფლიურთა შესაწირავთა და პატივთა არა რაჲსა მიიღებდის, და იეო დუმილით და სამღრთოთა მოქალაქობით ცხოვრება მისი, და ესრეთ მშვიდობით უფლისად მიიძინა, და ამის წერილებთაგან განათლდენ მრავალნი.

31.

მამისა იოანე პატრიკ-ეოფლისათვის.

ესე იოანე პატრიკი იეო ქართველთა დიდებულთაგანი, ამან ისწავა ღ´თის-მეტყველ-ფილოსოფია, და ენა ელინთა და სხვათა და იეო კარგი მხედარი და საქმიანი სხვათა დიდებულთა შორის, უკანასკნელ დაუტევა დიდება თვისი და იქმნა მონაზონ, და მრავალნი წერილნი გარდმოიდო ქართულთა ენათა ზედა და შეამკო ეკეკლესიანი და განაშენნა, რომელსა სახელსდვეს ქართველთა გვირგვინად ეკეკლესიებისა, და მერე მარტობით მიეცა ცხოვრებასა, და ესრეთ კეთილად დაასრულნა წელნი თვისნი.

32.

მამა გიორგი ოლთისელისათვის.

გიორგი მამა ოლთისელი იქმნა მონაზონ და იღვაწა მრავალი და იეო ფრიად მეცნიერ და კეთილისა მონაზონებითა განვლო ცხოვრება თვისი.

33.

მამა სტეფანესათვის.

ღირსი მამა სტეფანე იეო ქართველი, სამღრთოთა წერილთა და საფილოსოფოსოთა შინა ზედ მიწევნილი, ამან მრავალნი წერილნი თარგმნა ქართულსა ენასა ზედა და განანათლნა ერნი და აღსარდა მოწაფენი კეთილად, რომელსა ქართველთა უწოდეს ნათელ მოოველად, და კეთილისა ცხოვრებითა განვლო ღღენი თვისნი.

34.

მამისა იოანე ფილოსოფოსისა და ზეწოდებით პეტრეწისა ჭიმჭიმელისათვის.

იოანე ჭიმჭიმელი, ფილოსოფოსი და ზედ წოდებით პეტრიწი, ესე იყო გურიით ერთობასა შინა მეფობისასა და მეფეთაგან გაიგზავნა ათინას და მუნ მიიღო აზნაურობითი და გონებითი ხელოვნება. ისწავა მათემათიკა, ასტრონომია და ასტროლოდია; და ოდეს დაასრულნა სწავლანი, მაშინ მიიყვანეს მოძღვართა მისთა, და უჩვენეს ტიხისა კედელთა ზედა დაწერილნი ძუნწლთა ფილოსოფოსთაგან თქმულნი ჭაზრები, რომელმანცა უკეთეს განმარტნა თვისთა მოძღვართა ზედა და უკეთეს ნათლად აღმოაჩინნა, და ამის მიზეზისათვის სახელ დვეს პეტრიწად (რომელ არს ქვის...) და მერე დასვეს სკამსა ზედა, შეუსხდენ მხრითა მოძღვარნი თვისნი და ესრეთ გარემოვლეს ადგილი იგი; ესე იოანე იყო გონება მაღალი და დიდი ღთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ზედ მიწევნილი ბერძულსა და ქართულსა ენასა ზედა, რომელმანცა თარგმნა სახარებისა თარგმანნი, ლუკასი და მარკოზისა თავნი, კლემაქსი, კავშირი ღთის-მეტყუნწლებითი და სხუანი მრავალნი სადმრთო წერილნი. დიონისეს არიოპაგელის ღთის-მეტყუნწლება; მან შეაწყო ბერძენთ გვარზედ იამბიკო ქართულად, და იმეცადინავა შემოკლებად ქართულისა ენისა მზგავსად ელინურისა ენისა და მრავალნი კეთილნი სწავლანი დათესა ერთა შორის და მრავალნი წმინდათა ცხოვრება გარდმოიღო, და კეთილისა ცხოვრებითა განვლო წელნი თვისნი.

35.

მამისა ეფრემისათვის.

ეფრემ იყო ძირით ქართუნწლი, ფილოსოფოსი, რიტორი მშვენიერი და დიალიკტიკოსი, დიდი სილოგისმოსი და აქსიომითა დამამტკიცებელი ძნელთა ჭაზრებითა, წერილთა უცხოთა ენათაგან მთარგმნელი და ღთის-მეტყუნწლებაში გამოცდილი, უცხო ბიიტიკოსი. ამან აღსწერა ცხოვრება წმინდისა სინოსი და ქართუნწლთა კერპთა-მსახუ-

რებისაგან მოქცევა. ამან აღზარდა სწავლასა შინა ქართულისა ენისა-სა იოანე ფილოსოფოსი და ასწავა ბერძული, რომელიცა წარიგზავნა მეფეთაგან ათინას კვალად სწავლისათვის იოანე. ამა ეფრემმან უქადაგა ათხაზთა და მოქცევისა მათისა აღსწერა ისტორია, და ამან ასწავა თავისუფლებისათვის არხიეპისკოპოზთა, რომელ ქართუჭლნი არა უტევებდენ თავისუფლად არხიეპისკოპოზთა. ამან გარდმოიდო ქადაგება დიდის თეოდორიტესი. ამან ქმნა წერილი ავთოკეფალოს წოდებული, რომელ არს თავისუფლება ეპისკოპოსთა, რომელ ესე გუარნი პატრიარხისა სამართლისა შინა არა მივიდოდნენ, არამედ თვით აქუნდათ სასამართლო, და სთარგმნა ფილოსოფია და სხუანიცა წერილნი. ამან გარდმოიდო ეთიმონი, რომელ არს დიდმარხვის სამწუხრო მსახურება ეკკლესიისა; და აგრეთუჭ განსწავლნა მრავალნი მოწაფენი და ესრეთ სიწმინდით და მოღვაწებით განვლო მონოზონება თვისი.

36.

მამა იეოფილესათგის.

ესე მამა იეოფილე იეო ქართუჭლი და თანამედროე ძველთა მამისა ქართუჭლთა არსენისა, ეფრემისა და იოანე ფილოსოფოსისა, სიბრძნისა მოუვარებასა შინა სრული და ღᲗᲘᲡ მეტუჭლი, სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, და მთარგმნელი ბერძულისაგან ქართულსა ზედა, რომელ ესეცა დაშრურა ზემოხსნებულთა მთარგმელთა თანა.

37.

ღირსისა მამისა არსენი იუალთოელისათგის კახისა.

მამა არსენი იუალთოელი იეო ღᲗᲘᲡ-მეტუველი, ფილოსოფოსი და ფიზიკოსი და ანატომიკოსი, ალიდორიულთა შეთხუზუჭთა შინა ქებული, სამღრთოთა საგალობელთა კეთილად დამთხუზუჭლი, უცხო და მადალი მესტიხე და საეკლესიოთა ტიბიკონთა მეცნიერი. ამან შეთხზა ერთბუნებიანთა წვალებისა პირის დასაუოფელი წერილი, რომელ ვერა რაისამე ღონითა ძალუდვეს სომეხთა პასუხის გებად.

ამან ქმნა დასდებულნი რომელნიმე ქართველთ წმინდათანი და მრავალნი მოიეუანნა სწავლასა შინა და უკანასკნელ წარვიდა მღვიმეს მონასტერსა შინა წმინდისა შიოსასა და მუნ სიწმინდით დასრულა ცხოვრება თვისი.

38.

მამისა ქრისტედულე ოსად წოდებულისათვის.

მამა ქრისტედულე მონოზონი ესე იყო კეთილშობილთა ძირთაგან აღმოსრული ქართველი და არაბულთა და სპარსულთა წერილთა შინა გამოცდილი, რომელმანც ზედ მიწევნით უწყოდა ენაჲ მათი და ესწავა ყურანიცა, ესე იყო ფილოსოფოსი და სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი. დროსა ამისსა, ოდეს მოვიდა მხედრობითა იამამან სპარსთა კელმწიფე, უომრად შეურიგდენ ქართველნი და შემოვიდა ტფილისსა შინა, ქართველთა მოექცა კეთილად და მრავალთა მიანიჭა საბოძვარნი. ოდეს ამა ხელმწიფისა წინაშე შეკრულიუენეს ქართველნი, იხილა იამამან მათ შორის ბერი ესე დაბებკულითა მოსილი და მიუწოდა თვისთანა, და ბრძანა ახლისა ტანისამოსისა ბოძება, რომელსა სპარსნი ხალათსა უწოდებენ, და რა მოიღეს ბერისა მისდამი, არა მიიღო ბერმან მან. ჴკონებდა იამამან, რომელ ვინაითგან მონოზონი არს, უკეთუ ძალთასა შთავაცვათ ხალათი ესე, იმცაცვრის ბერი ესე ქართველთაგან. და მაშინ უბრძანა მსახურთა მათ, რათა გახადონ ბერსა მას საბერო სამოსელი და შთააცონ ხალათი იგი. ოდეს მსახურთა ხელჴყვეს განძარცვად მისა, მაშინ ბერმან ღაღადეო სპარსელთ და სთქუა: „კელმწიფეო, ყურანსა შინა სწერია, ხოლო არა არს იძულება სჯულსა შინა“. იამამან [ბრძანა] დატევებად ბერისა და მიუწოდა თვისთანა და გულსმოდგინედ დაუწეო კითხვად სჯულისთვის, და ამა კითხვათა შინა აქუნდათ სხუა და სხუა უბნობანი, ვითარცა ერთსა ღმერთსა, ეგრეთუნცა განგებულებასაცა და წერათათვის კაცთა, რომელსა აჯალს უწოდებენ თათარნი. ხოლო ბერმან ამან ეოჯელივე დაარღვია, და ყურანთაგან თვისთა დაუეო ჴირი, ვითარცა უვრცელესად ჴსწერია ამა ბერისა საკუთარსა წიგნსა შინა. და მერე მოუწოდა იამამან თვისსა მოდასა, თვისთა ენასა ზედა მეცნიერსა, და

აქუნდაო ბასი ურიიერიოს, და მასცა სძლიეა ბერმან, რომელმანცა მოახსენა იამამან, რომელ ბერისა ამის ეშმაკი მამალი არისო, და ამის გამტეუვნება შეუძლებელი არსო, რომელ ბერმან უგო პასუხად: „მაშა შენი ეშმაკი დედალი იქმნებისო“. ამაზედ მრავალი იცინა იამამან და განგრძელდა უბნობა ვიდრე სადილობამდის მათისა; და შემდგომ უბრძანა იამამან ხელმწიფემ ბერსა: „მცირედ მაკლის, რომელ ქრისტიანე არა მეაო“, და სთხოვა რაოდენისამე ოქროსა მიღება, და უბრძანა: „აწ პურის ხმეგისა დრო არს და დაშთეს კვალად უბნობა სხუა დროისათსათვის“. და ბერი წარმოვიდა მადლობელი ღვთისა, და ამან სიწმინდით განვლო ცხოვრება თვისი, და მერე მშვიდობით დაიძინა.

39.

მამისა იოანე ტაიჭისმისათვის.

К624/3

იოანე ტაიჭის ძე იყო ქართველოა აზნაურთაგანი. ამან სიყრმესვე შინა ისწავა ფილოსოფია და ღ´თის-მეტყველება, და ენა ბერძენთა, რომელმანცა მრავალნი სამღრთო წერილნი გარდმოიღო ქართულსა ენასა ზედა, იყო ფრიად რიტორი და ეკკლესიათა შემამკობელი, უცხო პიიტიკოსი და მოშაირე, რომელმანცა მრავალნი ქართუსნი განასწავლნა სიბრძნის მოყვარებასა შინა, და ესრეთ კეთილად განვლო წელნი თვისნი.

40.

მამისა საბა გარდანის სვინკელოსისათვის.

მამა საბა სვინკელოსი იყო კაცი მეცნიერი ყოველსა სწავლასა შინა; ამან ქმნა საგალობელი ანტონის მარტომყოფელისა მოდებულისა ხელითა უქმნელისა ღთაების ხატისა, მშვენიერ და მადალსა ფრაზასა ზედა შეთხუზული; იყო უცხო მწერალი და სტიხთა გამოქმელი. ამან მრავალნი სწავლანი განთქნა ქართლსა, კახეთსა, მესხეთსა, იმერთა, ოდიშთა და ათხაზეთსა შინა და გურიასა, რომელსა სახელსდვეს ქართუსნლთა ქართველთა დიდებად, და ესრეთ კეთილისა მოძღვრებითა განვლო ცხოვრება თვისი.

ფუნდამენტალური ბიბლიოთ. Фундаментальная библ.

41.

მამისა იეზეკელისათვის.

მამა იეზეკელი[1]) იყო ქართველი, დიდი ღ˘თის-მეტყველ-ფილოსოფოსი, და რიტორი კეთილი, წერილთა მადალ ფრასზედ დამოხზეულ და სტიხთა და შაირთა და იამბიკოთა მშვენიერ გამოთქმელი, რომელსა მოძღურებით შეუსწორებდენ იოანნე ფილოსოფოსსა სწავლასა და სხუათა ხელოვნებათა შინა; ამან მრავალნი მოწაფენი განასწავლნა და კეთილის ცხოვრებითა გარდავლნო წელნი თვისნი.

42.

მამისა პეტრესთვის.

მამა პეტრე იყო ქართველი, ფილოსოფიასა შინა ზედ მიწევნილი და ადძრცვილი ღ˘თის-მეტყველებასა შინა, ამან მრავალნი პიიტიკონი შეთხზნა სამღრთონი რიტორულისა მშვენიერ უბნობითა, ამასა შეამზკავსებდენ ჭსწავლითა არსენის, ეფრემის და სხუათა ფილოსოფოსთა, ხოლო ქართველნი უწოდებდენ პეტრეს საკვირველად; ამან განვლო ცხოვრება თვისი კეთილად და ესრეთ დაასრულა წელიწადნი თვისნი.

43.

მამასა იოანე შავოელისათვის.

მამა იოანე იყო ადგილით შავოელი, საქართველოჲსა ჯტი, კეთილშობილი და მწერალი ოამარ მეფეისა. ესე იყო ფილოსოფოს-ღ˘თის-მეტყუჱ̂ლი, ამან შეთხზნა შაირნი წერილნი, დიდარიანად წოდებული ისტორია, და თამარ მეფეჲსა შესხმანიცა იამბიკოდ, რომელსა შოთა მესტიხე, დიდი ქართველთა შორის, უმჯობესად რაცხდა თვის ზედა ამა შავოელის მიერ ნათქუამთა შაირთა და აქებს თვისსა ქმნილსა ისტორიასა შინა, ვეფხვის-ტყაოსნად წოდებულსა, გარნა ქა-

---

[1]) აქ დედანში იოზეკელი სწერია.

რთველთა დაუკარგავთ ამა შავთელისა მიერ თქმულნი წერილნი, და არდასადა სჩანან. ხოლო უკანასკნელ ეს იოანნე შავთელი იქმნა მონოზონ, და კეთილისა ღვაწლითა დაასრულა ცხოვრება თვისი.

44.

მამისა გასილი ათონელისა, ბიძისა ექვთიმე კათოლიკოზისათვის.

მამა ბასილი ათონელი იყო ქართველთა თავადთაგანი, ამან სიყრმითგანვე თვისით შეიყვარა ღმერთი და დაუტევა სოფელი და იქმნა მონოზონ, წარვიდა მთასა ათონისასა მონასტერსა შინა ქართველთასა, და მიიღო მუნ სწავლა სამეცნიეროთა სამოძღვროთოთა წერილთა, ისწავა ბერძული და იყო ფრიად მეცნიერი და მოყვარე წერილთა, ხოლო უკანასკნელ სცხოვრებდა განშორებით დიდსა ღვაწლსა, და მეფეთაგან აქუნდა და ერთაგან დიდი პატივი, და უკეთუ იხილოს რაჲმე ნაკლულოვანება მეფეთა შორის, იყო მამხილებელ და განმმართველ უწესობათა მათთა, და ამანცა სთარგმნა რაოდენიმე წერილი და ესრეთ დაასრულა ცხოვრება თვისი.

45.

მამისა პიმენ სალოსისათვის.

მამა პიმენ სალოსი იყო კახი, კეთილშობილთაგანი, ესე წარვიდა მონასტერსა დავით-გარეჯისასა, მიიღო სიბრძნე ხედვითი და ღ´თის-მეტყველებითი და იქმნა ქრისტესთვის სალოს. ესე იყო ფრიად მამხილებელ უსამართლოებასა და უწესოებასა ზედა მეფეთა და მთავართასა, არა თუ სიტყვით, არამედ წერილებითაცა, ამან იდვაწა რაოდენიმე წელი უდაბნოსა მას შინა და მერე წარვიდა ლეკთა შორის და უქადაგა ქრისტე და მრავალნი მათგანი მოიყვანა ქრისტეს სარწმუნოებად, აგრეთვე ფშავთა და თუშთა უქადაგა, და მრავალნი მოაქცივნა იგინიცა, და მერე მივიდა ბელაქანს და მოაქცივნა იგინიცა და მერე მთასა მასვე ბელაქანისასა შევიდა ქვაბსა შინა განშორვებულსა და მარტოებით იდვაწა ფრიად, და ესრეთ გარდავლო წელნი თვისნი.

46.

მამისა ანტონისათვის.

მამა ანტონი ნოხრებელისძე მესხეთელი, იყო ესე ფრიად სიწმინდის მოყვარე, კაცი დიდი, ბრძენი და ღუთის-მეტყველებასა შინა გამოცდილი, ჰიმენისამებრ მეფეთა მამხილებელი, რომელსა აქუნდა დიდი ჰატივისცემა მეფეთა და მთავართაგან და ერჩდენ მოძღვრებასა ამისას. ამან მრავალნი სწავლანი მიფინა მესხთა და განანათლნა ერნი მუნებურნი და ქართველთანი და იყო დიდი მოღვაწე და მმარხველობითა სრული; ამას სახელსდვეს ქართველთა მზედ, და ესრეთ კეთილისა ცხოვრებითა სული თვისი შეეგდრა ხელთა შინა ღთისათა.

47.

მამისა ნიკოლაოზ ქართველთ მნათობელისათვის.

მამა ესე ნიკოლაოზ ქართუსტი იყო სათილოსოფოსოთა ღთისმეტყუსლებასა შინა გამოცდილი, მონოზონებით სრული და დიდი კრძალული და მოღვაწე. ამან შეთხზნა მრავალნი აკოლოთიანი და ხშირისა წვიმისა სავედრებელი ღთისადმი აკოლოთია, რომლისა ლოცვითა დასაეენებელი დაუცხრომელი წვიმა დამეუდროვდებოდა და სხუანიცა სწავლანი განამრავლნა, და ესრეთ სიწმინდით და კეთილობით განვლო წელნი თვისნი.

48.

მამისა დიმიტრი მეოთხისა, მეფისა საქართველოჲსა, ბაგრატიონისათვის.

მეფე დიმიტრი მეოთხე დავითიან-ბაგრატოანი, ამან ისწავა სიურმესვე შინა სათილოსოფოსოსა სწავლანი და ღთის-მეტყველება და სხუანი ხელოვნებანი. ესე იყო მშვენიერი რიტორი, ჰიიტიკოსი და შემთხზუსტი უცხოდ შაირთა, რომელმანცა მრავალნი სწავლანი გამოთქუა, ხოლო უკანასკნელ დაუტევა მეფობა თვისი და იქმნა მო-

ნოზონ, და წარვიდა მონასტერსა გარესკისასა და იეო მარხუასა და ღუაწლსა შინა, რომელ მუნებურნი მცხოვრებნი მოიყვანნა განკვირვებასა შინა, რომელსა უწოდდენ ქართველთა და მონოზონთა დიდებად, და ამან ესრეთ სიწმინდით განვლო წელნი თვისნი და მშვიდობით უფლისად მხცოვანებისა ჟამსა განისვენა.

49.

მამისა ჩოლაყაჲსა ძისა, ნიკოლაოზ არხიმანდრიტისათჳს.

მამა ჩოლაყაჲსძე კახი, არხიმანდრიტი ნიკოლაოზ, ესე იეო სათელოთოსოთა სწავლათა შინა გამოცდილ და ღᲔთის-მეტყველებისა სწავლისა ზედ მიწევნილი, მშჳსნიერი რიტორი და კარგი ღრამატიკოსი. ესე წარვიდა წმინდის იერუსალიმად და მოიღოცა წმინდა ადგილი, და მუნვე ჯჳარის მონასტერსა შინა განთინა სწავლანი ქართველთა ბერებთადმი; ამან მოვლო ეფრატის გარემონი და ათრიკა; ამან აღწერა მშვენიერად მიმოხილვაჲ თვისი, და მერე უქადაგა მეგრელთა, იმერთა, ქართველთა და კახთა, განთინა სწავლანი თვისნი და მერე კეთილისა სათნოებითა გარდავლო წელნი თვისნი.

50.

მამისა პეტრე ჩხატარაჲსა ძისა გურიელისათჳს.

მამა პეტრე გურიელი ჩხატარაისძე იქმნა სიყრმითგანვე მოხოზონ, მან ისწავა ხედვითი ხელოვნება და იქმნა მეცნიერ, და წერილთა შინა გამოცდილ. ამან შეაწყო ისტორია აღექსანდრე მაკედონელისა მშვენიერ ენასა ზედა, ამანვე აღსწერნა მრავალნი კარგნი სტიხნი და შაირნი, ეგრეთჳს განსწავლნა მრავალნი მოწაფენი, და კეთილისა მონოზონობისა წესითა განვლო ცხოვრება თვისი.

51.

მამისა გრიგორი ხუცეს-მონოზონისა დოდორქელისა, ვახვახის მისათვის, რომელი იყო ბაზიერთ უხუცესისა მე.

მამა გრიგორი ვახვახის ძე ბაზიერთ უხუცესისა და მონოზონი დოდორქელისა მონასტრისა, ესე იყო სწავლათა შინა გამოცდილი მონოზონებითა სრული და სიბრძნის მოყვარე, ამან შეთხზნა რომელთამე ქართველთა წმინდებთა აკოლოთიანი მშვენიერ ენასა ზედა, და ამანვე აღწერა წმინდისა ქეთევან დედოფლისა ცხოვრება და წამება მისი უღთოსა შაბაზისაგან, და ამან იღვაწა დოდოს მონასტერსა შინა მარხვითა და ლოცვითა და ესრეთ განვლო ცხოვრება თვისი.

52.

მამისა კოსმა მწიგნობრისათვის.

მამა კოსმა მწიგნობარი-უხუცესი კახთა მეფისა და ხუცეს-მონოზონი მრავალმთემისა. ესე იყო ძირთაგან კეთილშობილი, მეფისა უპირველესი მწერალი, ამან დაუტევა ადგილი და სახლი თვისი და იქმნა მღვდელ-მონოზონ მრავალ-თემისა მონასტრისა და იღუაწა კეთილად; ამან გამოთქუა შესხმა ქეთევან დედოფლისა; ესე იყო საეკლესიოსა წერილთა შინა წარკითხვასა თვით უპირველესი და მეფსალმუნე ქებული; და ესე იღუწიდა მრავალმთემთათვის მცხოვრებთა, რომელიცა წარმოსრული მუნით, საქმეთა ზედა მათთა, გზასა მოიკლა უღმრთოთა ბარბაროსთაგან და ესრეთ დაიძინა.

53.

მამა იოსებ ფიტარელისათვის.

მამა იოსებ ფიტარელი (sic) იყო სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, რომელ სხუანი მწიგნობართაგანნი ძვილ ესწორებოდნენ, იყო უცხო მქადაგებელი და მესაათნოე მსმენელთა, მწერლობასა შინა ჴირველი და მუსიკობითა ქებული, აგრეთუცა მონოზონებითა წესიერ მქცეველი, და კრძალულებისა მოყვარე, რომელმანცა კეთილისა შრომითა დასრულა ცხოვრება თვისი.

54.

მამა გერმანე ხუტესათვის.

მამა გერმანე ძირით საქართველოსით, მღვდელობასა შინა ჩინებული კეთილისა ყოფა ქცევითა, მეცნიერებით სრული და მოქადაგე მადალი. მეფეთა და მთავართაგან პატივცემული; ამან განსწავლნა რაოდენიმე მოწაფენი; ესე იყო ჩინებული მგალობელი ქართულთა ხმათა ზედა და ახალთა ხმებთა და კილოთა დამთხუზველი, ამან განვლო სიერმითგან ვიდრე სიბერედმდე კეთილად ცხოვრება თვისი და ესრეთ უფლისად განისვენა.

55.

მამისა იაკობ სამებელისათვის

ესე იაკობ სამებელი იყო კახეთით, ეპისკოპოსი სამების ეკკლესიისა, ხაშმის თავს მყოფისა; ესე იყო მეცნიერი, რიტორი; ამან მრავალნი სამღრთონი წერილნი შეთხზნა საამო სტიხებად სასმენელნი, და სხვებცა კეთილად იღვაწა და ესრეთ განვლო წელნი თვისნი.

56.

მამა ევლოგისათვის.

მამა ევლოგი ხუტესი იყო ქართველი დროსა მეფობისა თამარისასა, ესე იყო ქრისტესთვის სულელ ქმნილი და სიწმინდისა ხარისხსა შინა მიწევნილი, ამა ევლოგიმ მწირველმან იხილა მხედრობა ქართველთა და ნორალდინ (sic) სულთანისა, ოდეს ურთიერთს შეებნენ, და ეგეს ბრძოლაჲ დიდი, რომელ ქართველთა ძალეს და მადლობა შესწირა ღთისა ძალვის შემოსისათვის, ხოლო ესე ჩვენება დაწერეს ქართველთა და შენიშნეს რიცხვი დღისა მის, რომელ შემდგომად რაოდენისამე დღისა მოვიდა მახარებელი გამარჯვებასა ქართველთაგან მას დღესა, რომელსა დღესა იხილა მამამან ევლოგი. ხოლო უვრცელეს იხილეთ ქართლის ისტორიასა შინა.

57.

მამა საბასათვის.

მამა საბა ქართველი ესე იყო სწავლათა შინა გამოცდილი და ბერძულისა ენისა ზედ მიწევნით მეცნიერი, ესე დროსა კირილე ალექსანდრიელისასა სტხოვრებდა ალექსანდრიას შინა, ამან იდვაწა იოანე თილოსოფოსთან თარგმანებასა ზედა დიონოსი არიოპაგელის ღᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲣᲗᲚᲔᲑᲘᲡ წიგნსა ზედა, და კეთილად განვლო მონოზონებაჲ თვისი და ესრეთ აღსრულდა.

58.

მამისა ანტონი ქართველისათვის.

მამა ანტონი და ზემოხსენებული საბა ერთად იმეოფებოდენ ჟამსა მას კირილე ალექსანდრიელისასა, რომელიცა სწუალობდა ბერთა ამათ და პატივს უყოფდა კეთილად ქცევისათვის მათისა, და ესე ანტონიცა შეეწია იოანე თილოსოფოსსა და განამხნო თარგმანებასა ზედა დიონოსის წიგნისასა და სხუათა წერილთ ზედაცა, და ამან სხვებრცა იდუაწა საქართველოს ეკლესიებთათვის და მერე უფლისად დაიძინა.

59.

მამისა მიქაელისა და სხვებისათვის.

დირსი მამა მიქაელ ჭუას ძე კახელი, დირსი მამა იოანე რეხუის ძე ქართველი, დირსი მამა დანიელ აბაშვილი ქართველი, დირსი ნუნუს ეპისკოპოზი კინდ ქართველი; დირსი მამა ნიკიფორე ომან ჩოლაუაშვილი კახელი, წინამძღვარი მეტეხის ეკკლესიისა, მოძღვართ მოძღვარი, ოდიშის ხოფის კოტხერელთა გამგე და უკანასკნელ ჯვარის მამად დადგინებული, იერუსალიმის და გოლგოთის არხიმანდრიტი; აგრეთუს მასვე დროსა იყო თეოდორე მანგლელი რევისშვილი, და ნეოფიტე ქართველი მმართებელი მონასტრებთა ქართველთასა იერუსალიმს შინა, რომელთა კეთილად იდვაწეს და დაშვრენ სამდრთოთა წერილთა ზედა თარგმანებად და კეთილისა დვაწლითა გარდავლნეს წელნი თვისნი.

60.

შოთა რუსთაველისათვის.

შოთა რუსთაველი მწერალთა უხუცესი დროსა თამარ მეფისასა, იგი ფილოსოფოს-ღ᾽თის-მეტყველი, სამღრთოთა და საეროთა წერილთა შინა გამოცდილი, ენათა სპარსულისა და სომხურისა მცოდნე. უცხო ვარსკვლავთ-მრიცხველი და ბუნების ისტორიათა მეცნიერი, პირველი მწერალი და დამთხზველი მაღალსა ენასა ზედა წერილთა; მეშაირეობასა და პიიტიკასა შინა ყოველთა ზედა პირველი და უაღმატებულესი. ამან ქმნა წიგნი ვეფხვის-ტყაოსნად წოდებული შაირად, რომელ ჯერეთ არავის ქართველთაგანსა უმჯობეს მისა უთქვამსთ ვისმე შაირნი, და ესრეთ სიბრძნის მოყვარებასა შინა გარდავლნო წელნი თვისნი.

61.

სარგის თმოგველისათვის.

ესეცა იგი მწერალი თამარ მეფისა, მზგავსი მეცნიერებითა შოთასი, და პირველი რიტორი, მშვენიერი პიიტიკოსი, რომელიცა ქებულარს თვით შოთასგანცა მოშაირეთა შორის. ამან ქმნა წიგნი ისტორია, ვისრამიანად წოდებული, და ამანვე აქო დიდარგეთ, მეცნიერებითა და პიიტიკოსობითა სხუათა ზედა უმეტეს, და ამანაც ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი.

62.

დიდარგეთისათვის.

დიდარგეთ იგი კაცი მეცნიერი, ქართულსა ზედა მწერლობითა გამოცდილი, რომელსა სხუათა ზედა ამისგან თქმულთა შაირთა უმჯობეს სდებენ. ამან ქმნა ისტორია დიდარიანი, სასმო სასმენელი ყოველთაგან, და ამანცა დასრულა ცხოვრება თვისი.

63.

ჩახრუხისძისათვის.

ჩახრუხ ჩახრუხის ძე, კაცი მეცნიერი და ცერემონიმეისტერი თამარ მეფისა, მეცნიერებით სრული და რიტორ-მწყურ-მოუბარი, ამან სხუა გვარად დათხზნა შაირნი, სასმენად საამონი, და ესე იუო, შესხმათა თამარ მეფისათა მომხსენებელი და სხუათა ესე ვითართა წიგნებთა გამგეთებელი, რომელსა უწოდდენ ქართველნი მესტიხეთ გვირგვინად, და ამანაც ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი.

64.

ძაგნაკორელის ხემშიას ძისა იასესათვის.

ძაგნაკორელი ხემშიას ძე იასე, ესე იუო ფრიად მეცნიერ და რიტორი, ამან შეთხზნა შაირნი სხუა გვარად, უფრო უგრძელეს ტრიქონებითა (sic), ფრიად ტკბილნი და საამო სასმენელნი, რომელსა აწ უწოდებენ ლექსისა მისისა გუართა, ვინმცა შეთხზვის, ძაგნაკორულად თქმულისა, გარნა ესე ძველადვე იუო უწინარეს შოთასა.

65.

მეფისა თეიმურაზისა ბირგელისა ბაგრატიანისათვის.

მეფე თეიმურაზ ბირველი იუო სადმრთოთა და სამეცნიერთა სწავლათა შინა გამოცდილი, რომელმანცა უცხოდ შეაწუო სამდრთო და საერო სწავლისა შაირნი და ანბანთ-ქებანი. ესე იუო ფრიად მხნე და შემმართებელი მტერთა ზედა, რომელმან მრავალნი ძლევანი შეიმოსნა სპარსთა და თურქთა ზედა და თვითცა ყოველთა ბრძოლათა შინა უბირველეს მეომრად გამოჩნდის, რომელმანცა ყამსა მირაბდის (sic) ომისასა სპარსთადმი ყოველი საომარი იარადი ამოქმედა, მშვილდ-ისარი, შუბი, ლახტი, ხმალი, ხანჯალი, და ხანჯალისა დანა, რომელ ყოველთა ამა იარადთაგან გარდმოყარნა თვისნი მეომარნი; და იტყვიან აბყანდითაც მოკლა თათარიო მას ომსა შინა; უკანასკნელ მრა-

ვალნი დევნანი და ჭირნი გამოიარა ქართველთათვის სტამბოლს სულ-ოანთან მისვლითა, რუსეთს და სპარსეთს შინა მიმოსვლით და თავისათვის ქართველთა, ხოლო უკანასკნელ იქმნა მონოზონ და სიწმინდითა გარდავლნო წელნი თვისნი, და ესრეთ უფლისად დაიძინა.

66.

არჩილ მეფისა მეორისა ბაგრატოანისათვის.

მეფე არჩილ მეორე ბაგრატოანი, ესე იყო კეთილად სწავლული და ფილოსოფოსი, ამან კეთილად იმეფა საქართველოსა ზედა და იმერეთსაც, ამან თარგმნა ბერძენთა მეფეთა ისტორია, ხრონოღრაფად წოდებული, და ბიბლია, რომელსა ჩვენ დაბადებად უწოდებთ, შემოკრიბნა და სრულყო სადაც დაბნეულ და დახეულ იყუნენ ესე წერილნი, განამთელა და შეამოწმა სხუათა ენათა ზედა; ბიბლისა დასრულებაში მომეკვანმან მოსკოვს გააკეთებინა სტამბა საფრანგეთშია ქართულად და მოატანინა საფასითა თვისითა, და მერე შემდგომად მისა ბაქარ მეფემან დაბეჭდვინა, ვინაჲთგან არჩილსა არდა დასცალდა სიცოცხლე. დაბეჭდა ათასსა ზედა უმეტეს და წარმოსცა ქართველთადმი; სხვებრ არჩილ მეფე იყო უცხო მესტიხე და მრავალნიცა სტიხნი შეაწყო, ესე იყო უცხო მხედარი და ჩოგან-ისართა შინა მხმარებლად ქებული, ლხინთა და ჭირთა შინა კეთილ გამგებელი. ამან აღსწერა კვალად ზნეობითი სწავლა ქართველთ ქცეულებისათვის, და ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი ქალაქსა მოსკოვს, რომელიცა იყო ესეცა მოსრული საქართველოს შესაწევნელად მტერთა ზედა; ამან მიიღო მეფეთა რუსთაგან ბატიები და ოცდა-ოთხი ათასი სული ყმა რუსეთსა შინა, რომელიცა აწ აქუსთ მეფე ბაქარის შვილებთა ბაგრატოანთა.

67.

მეფისა ვახტანგ მესამისა[1]) ბაგრატოანისათვის.

მეფე ვახტანგ იყო წერილთა შინა გამოცდილი და მესტიხოსი კეთილი, ამან გამოთქუა ანბანთ-ქებაზედა წერილნი, დაუდო სჯული

[1]) უნდა იყოს მეექვსისა.

სამართლისა ქართველთა, რომელსა ვახტანგ მეფის სამართლის წიგ-ნსა უწოდებენ. ამან ჟამსა სპარსეთსა მეოთხობისა თვისასა სთარგმნა ქილილა-დამანნა წოდებული წიგნი ზნეთა სწავლულებისა. ამან მოი-ყვანა ვლახეთიოთ სტანბის მცოდნე, და დაბეჭდინა სამღრთო-საერო წიგნები და იმეფა კეთილად, და მერე ოსმალთაგან ტოლვილი გარდ-მოვიდა რუსეთსა შინა, და გარდაიცვალა ქალაქსა შინა ასტრახანს.

68.

მეფისა თეიმურაზ მეორისა ბაგრატოანისათვის.

მეფე თეიმურაზ მეორე კეთილმსახური მეფე იყო, წერილთა შინა გამოცდილ, ამან შეაწყო ქართველთა საეოთვაქტეო წიგნი, თუ ვითარ მეფენი ანუ მთავარნი იქცეოდენ ჟამსა ომობისა, ანუ განსვენე-ბისასა; აგრევე დროსა ნადირობისასა და ასპარეზობისასა; აგრეთუს ქორწინებისა და ჟამსა ჭირის-უფლებისასა და სხვანი ესე ვითარნი. ამან მსახურა ნადირშას, ეგენსა სპარსთასა, რომლისა შეწევნითა გა-ნახსნა საქართველოდამ ოსმალნი, ნადირ უწოდდა თეიმურაზს დიდს ერთგულსა თვისსა და სახელ სდო დოვლათ შარიქად, რომელ არს დიდებულების ამხანაგი, ამას უბოძა არაგვის საერისტო ჟამად, ოსმალ-თა ძლევისათვის, ოდეს სძლო არაგვისა ბირსა ზედა ოსმალთა, რო-მელთაც მიაქუნდათ ხაზინა დაღისტანში, აგრეთუს მიანიჭა მეეთობა საქართველოსი. ხოლო კახეთი[ს] მეფედ სახელსდო ირაკლის ძესვე ამა მეფისასა. ამან სძლო ავარის მთავარსა, მჭადის ჯვარს მდგომარესა, და სხუანიცა ძლევანი შეიმოსნა, და კეთილისა ცხოვრე-ბითა გარდაიცუალა ბეტერბურღს მისრული ელისაბედ კელმწიფესთან, მწუხარებითა გარდაცვალებასა ზედა იმპერატრიცას ელისაბედისასა; ხოლო გუამი ამისი წარმოასვენეს ქართველთა მცხეთას დასაფლველად; გარნა ასტრახანსა იქით ვერდა უძლეს წაღება, და მუნ ასაფლავია დიდსა სობოროსა შინა.

69.

სულხან-საბა ორბელიანისათვის.

საბა ორბელიანი ერის კაცობასა შინა სულხანად წოდებული, ესე იყო ქართულსა შინა ფილოსოფოსსა შინა გამოცდილი და სამ-

ღრთოთა წერილთა შინა. ესე უცხო ჰიეტიკოსი და ქებული, ძველთა მოშაირეთა შესადარი, ესე დაშურა ფრიად და შეკრიბა განბნეული და დაკარგული ლექსიკონი და იდუაწა ამაზედ ოცდაათ წელი. ამან ქმნა წიგნი ზნეთ სწავლულებისა სიბრძნე-სიტრფად წოდებული; ესე წარვიდა რომსა, მიიდო ბაბამ კეთილად და აწვია თვის თანა წირვად და დაბანა ფერხიცა, მისცა ნიშნად ძელი ცხოელის ნაწილი და სხუანი წმინდათა ნაწილები, და ბატივითა გამოისტუმრა. ესე ფრიად დაშურა მეფეთა მსახურებისათვის ისპაანს ეეენთან წარსვლით, ამანვე შეთხზა წიგნი სამოთხის კარად წოდებული, კარნა ამაში არ თანეხმენ ქართველნი მეცნიერნი, ვინაჲთგან მიკერძა უფრო ლათინთა და ამა იჟვისათვის კალათინებულად ადიარებდენ სიბასა.

70.

ძველთა ქართველთა მოშაირეთათვის, სასენდობრ:

1. იაკობ შემოქმედელი, კაცი მეცნიერი და მესტიხე ბირველი (ამან შემოქმედელმან გალექსა ლეილი-მეჯნუნიანი); 2. მოსე ხონელი, მესტიხე და მეცნიერი, საამო მეშაირე (ამან ქმნა უცხოსა და მშვენიერსა ენასა ზედა ისტორია ამირან-დარეჯანის ძისა); 3. თურმანისძე ხოსრო, ამან გალექსა როსტომიანი და კარდმოიდო სპარსთა მეფეთა ანბავი; 4. ნანუჩა მოლექსე და შაირთ მწერალი, ამან დაურთო სხუა ლექსები ვეფხის ტყაოსანს; 5. ჯაგლაგა ფალვენისშვილი მოლექსე; 6. ქაიხოსრო ქართველმან გალექსა რომანიანი; 7. ფარსადანის ძემ ნოდარ გალექსა სპარსთა მეფისა ბარამ-გურისა ისტორია; 8. ჩოლაყაშვილმან გარსევან გალექსა ნარგიზიანი წიგნი; 9. სულხან თანიაშვილმან გალექსა ამირან-დარეჯნიანი; 10. ბარძიმ ვაჩნაძემ კარდმოიდო სპარსულითგან საამიანი და ბეჟანიანი ლექსად და კარგათ; 11. ფერშანგისშვილს ფაშვი-ბერტეის ძეს გალექსავს ფირმელიანი წიგნი; 12. ბაკაკა დვალაძესაც უთქუამს მრავალნი შაირნი სხუა და სხუა ჭაზრზედ.

71.

ანტონისათვის კათოლიკოზისა, მეფის ისეს ძისა, დაგათაან ბაგრატიონისათვის.

მამა და მწყემსთა-მთავარი ანტონი კათოლიკოზი და ბატრიარხი სამცხე-საათაბაგოსა და სრულიად საქართველოისა იყო დროსა შეო-

რე მეფისა თეიმურაზისა და ძისა მისისა ირაკლისასა, დის წული მეფისაგე თეიმურაზისა, კაცი ღᲗᲘᲡ-მეტუფᲚ-ფილოსოფოსი, სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი და დიდი დიალიკტიკოსი და დოდმატიკოსი, რიტორი მშვენიერი, ვითარ წერასა შინა. ამან სთარგმნა ბაუმესტერის ფილოსოფია სრულიად; საუნჯის წიგნი კირილე ალექსანდრიელისაგან ქმნილი, ეფესოს წიგნი; ნისტორისად ბასი და სხუანი წერილნი. ამან თვისით შეთხზა საქართველოს წმინდა მოწამეთა ცხოვრება, მარტირიკად წოდებული; ქმნა კატეხისმო და მზასიტეუბა გააკეთა, და განავრცო ღრამატიკა, და ქმნა კარგი რიტორება, და სხვანი წერილნი ვიდრე ოცდა-სამი წიგნი, თვისგან ქმნილნი; შემოკლებით გააკეთა ქართლის ცხოვრება; ამანვე თარგმნა კვინტოს კურციოსისგან ქმნილი ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება, ქართულსა ენასა მშვენიერად გარდმოიღო; განმართნა სამღრთო წერილნი ბერძულისა და რუსულისა ენისაგან შემოწმებიო; სრულ უო საუოველდღეო სადღესასწაულო და შეასრულა მარხვანი და ბარაგლიტონი (sic) და ზადიკი და სხუანი სამღთო წერილნი; იუო უცხო მოქადაგე და მრავალნი ქადაგებანი ადწერა; ამან შეთხზა ოთხი ტომი ღვთის-მეტუველება და მაღალსა ფრასსა ზედა; კეთილად შეამკო ეკლესია თვისი და ტერემონიათა განანათლნა ეკლესიისა წესნი და ესრეთ კეთილად დაშურა სიერმითგან ვიდრე სიბერემდე და მერე უფლისად დაიძინა; ამანვე ასწავლა მრავალთა მოწაფეთა, რომელთაცა მოვიხსენიებ ქვემორე.

72.

კათალიკოზისა ანტონი მეორისა, მეფის ირაკლის ძისათვის.

შემდგომათ ამისა მიიღო კათალიკოსობა ანტონი მეორემან, მეფის ირაკლის მეორის ძემან, რომელიც თჳთ ანტონიმ ადზარდა სწავლასა შინა და მიიღო ტეორეტიკის და Ჰრაკტიკისა ხელოვნება, და ისწავლა კეთილად ფილოსოფია და ღვთის-მეტუველება და ისტორია, ესე არს ფრიად მახვილი, წრფელი და უმანკო, მონოზონებაში სრული, ღრმა ღვთის-მეტუველი და მოქადაგე კარგი, რომელსა ეოველ-

ოვის ძალუდვა მოუმზადებლად ქალაგებისა თქმა, იყო ფრიად შშვენიერი მწერალი თხზასა შინა, ამას მრავალი იღვწა საქალრისა თვისისათვის, უყიდა სოფლები, აღუშენა ნაოხარნი ადგილნი, გაუკეთა ბაღები, საფუძველი დაზდო თბილისსა შინა, უღთოსა ალა-მამად-ხანისა ხოჯასაგან დაქცეულის ეკლესიისა, აღავერდისა წმინდის გიორგის ეკლესიისა ჩინურითა დახურა სამხროები და კეთილად იღვწა. უკანასკნელ ჯიღდოთ ამისა თქუენ მიერ ექსტორია (sic) იქმნა და მიუვანებულ რუსსიად.

73.

მამისა გაიოზ თავაშვილისათვის.

გაიოზ იყო აღზრდილი კათალიკოს ანტონისაგან საფილოსოფოსოთა და საღვთის-მეტყველოსა შინა სწავლასა, ზედ მიწყენილი რუსულისა ენისა, იცოდა ლათინური და სომხური წერილი, ამან თარგმნა რუსთა ენისაგან მრავალნი სხუა და სხუა წერილნი ქართულსა ენასა ზედა, რომელ იტყვიან ვიდრე სამასამდის წიგნსა, გარდმოღებულსა სამღთოთა წერილთა და ისტორიათა და სხუათა მეცნიერთა წერილთა. ესე წარმოიგლინა რუსეთსა შინა და მიიღო მუნ არხიერობა ნებითა იმპერატრიცა ეკატერინასათა და დაიდგინა მწყემსმთავრათ ჰენზას შინა, რომელმან განაახლა ეკლესია და აღუშენა კარგი სამრეკლო. ამან თვისა ყოფასა შინა ასწავა მეფის ძეთა ფილოსოფია, განუმართა თელავსა შინა შკოლაჲ და განასწავა მუნცა მრავალნი და სხუანიცა და ესრეთ აწცა შრომასა შინა არს, ვითარცა ოქუენ უწყით საქმენი მისნი.

74.

ვარლაამ ახტალის ეპისკოპოსისა დავით ერისთვის ძისათვის.

ვარლაამ ახტალის ეპისკოპოსი იყო აღზრდილი კათალიკოსის ანტონისაგანვე, საფილოსოფოსოსა და სწავლასა და ღვთის-მეტყველებასა შინა მეცნიერი, უცხო რიტორი და მშვენიერი მექადაგე. ამან ასწავა სხუათა და სხუათა მოწაფეთა საფილოსოფო სწავლანი და

უკანასკნელ წარვიდა როსსიად და პავლე იმპერატორმან განაწესა მწერ-
რად სინოდისა. ამან ისწავა რუსული ენა კეთილად და ქმნა სა-
უფლო და სხუანია დღესასწაულთა ქადაგების წიგნი, საამო სასმენი
და კარგათ დათხზული, და აწ არს აქა თქუენთანა.

75.

იოანე ოსეშვილისათვის.

იოანე ოსეშვილი, სიონის ეკლესიის დეკანოზი, ესეცა აღზარ-
და კათალიკოზმა ანტონიმ, ისწავა თეოლოგია და ღვთის-მეტყველ-
ება. ამანაც ჰქმნა რადენიმე წერილი სასწავებელად ერმათა, ესე
იგო უმეტეს მშვენიერი მწერალი თხუზუნასა შინა, ვიდრე უბნობასა შინა.

76.

დავით ალექსიშვილისათვის

დავით ალექსის ძე, ანჩისხატის დეკანოზისა შვილი, ესეცა აღ-
ზარდა ანტონი კათალიკოზმან, და მიიდო სწავლა თეოლოგიისა და
ღვთის-მეტყველებისა, ესე არს გონება მკვეთრი და კარგი მეხსიე-
რი, მწერალი მშვენიერი ვითარ ხელ-ნაწერობით, აგრეთვე დათხზი-
თაცა. ამან ჰქმნა წიგნი, თჳსგან ქმნილი, და უწოდა „ჩემ მიერ ნა-
ღვაწი“. და აგრეთვე შემატა ალექსიგონს. ამან ასწავა სკოლასა შინა თე-
ლავს მრავალ მოწაფეთა საეკლესიოთოსო სწავლანი, რომელიცა დად-
გინებულ იგო მეფის ირაკლის, აკიმურაზის ძისგან, რეკტორად და მე-
ცა ვიყავ მასთან, რიცხვთა შორის მოწაფეთასა. ესე არს უცხო ის-
ტორიკოსი ძველთა და ახალთა მოთხრობათა, რომელიცა ქებულ არს
ერთა ჩვენთაგან, და აწ სცხოვრებს მიზეზითა თქუენითა მგნდოვა-
ნებასა შინა. ამა ზემოხსენებულთა მოწაფეთა ანტონი კათალიკოსი,
მოძღვარი მათი, მიაჩემებდა თეითოეულთა ნიჭთა ამათ: გაიოზ
უწოდდა კარგსა მასწავლებელსა და მოძღვარსა და ადვილად ძნელთა
განმარტებელსა მოწაფეთადმი თვისთა; ვარლაამს უწოდდა მშვენიერს
რიტორსა და მოქადაგეთა შორის პირველსა; იოანნე ოსეს ძეს უწოდ-
და მშვენიერს მთხზველსა წერილთა შორის; ხოლო დავით ალექ-
სის ძეს უწოდდა ქართველთა შორის პირველს ისტორიკოსად.

77.

მიხაილ თბილისელისათვის.

მიხეილ თბილელი, ეპისკოპოსი, ესეცა იყო თანაშეზრდილი ანტონი კათალიკოსისა, იყო ფილოსოფოსი და სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, დიდი ცერემონიოსი ეკლესიისა და შემამკობელი, ესე უფრო დაშურა სამღთოთა წერილთა და ისტორიებთა გარდასაწერად, რომელმანც თჳსითა ხელითა გარდაწერა წიგნნი დიდნი და მცირენი ვიდრე რვაასამდისინ და უკანასკნელ მცხოვრების ჟამსა გარდაიცვალა.

78.

ტრიფილე არხიმანდრიტისათვის.

ტრიფილე მღვდელ-მონაზონი, ესეცა იყო აღზრდილი ანტონისაგე კათალიკოსისა. ესე იყო სწავლული ფილოსოფიისა ხელოვნებასა შინა და კარგი დრამატიკოსი, სამღრთო წერილსა შინა ფრიად მიწევნილი, მოჟამნეთა და ეკლესიათა წიგნთა წამკითხველთა შორის უპირველესი, ვითარცა სიმარჯვითა ენისათა, ეგრეთვე გამოდებითა ლექსთა და განრკვევითა სიტუჳათათა სრული, კანონიხობასა შინა უპირველესი, მწერალი უცხო და ჩქარი, რომელ ოდეს მოიცალის ეკლესიის მსახურებისაგან, არა დაუტევებდის სამღთოთა წერილთა და ისტორიათა წერასა, რომელმანც გარდაწერნა წიგნნი ვიდრე ხუთასსა ზედა უმეტესნი; და უკანასკნელ მიიდო არხიმანდრიტობა, მეორისა კათალიკოსისა ანტონისაგან და მოხუცებულობითა იქმნა ბრმა, გარნა ეოველთა დღესასწაულებთა შორის თჳთ ზეპირ უკანონიხებდის დაზღებელთა მის დღისათა, ვინაჲდგან აქუნდა ჩვეულება ეს გვარ მსახურებისა ეკლესიებთა.

79.

გამალიელი ოს ეოფილისათვის მღვდელ-მონაზონისა და მერე არხიმანდრიტად დარდგინებულისათვის.

გამალიელ ოს ეოფილი არხიმანდრიტი. ესეცა იყო კათალიკოსისა ანტონისაგანვე აღზრდილი, წერილთა და გალობათა შინა გამო-

ცდილი და არიხმატიკოსი და მონოზონებითა კარგი, მწერალი უცხო, რომელმანც მრავალნი სამდვთონი და საერონი გარდასწერნა ვიდრე სამასამდისინ. ამან კეთილათ იღვაწა იკორთის მონასტრის მთავარ ანგელოზის ეკლესიისათვის და ესრე შრომითა ატარებს დროსა თჳსსა.

80.

არხიმანდრიტის ნეოფიტე ოს უოფისათვის.

ესე ნეოფიტე ოს-უოფილი აღზარდა ურმა მთავარ-ეპისკოპოსმან წერილთა შინა და მერე მიიღო რიცხვთა შინა ბერებთასა ანტონი კათალიკოსმან. ესე არს შესადარი ზემოხსენებულის ტრიფილესი, ვითარცა მოკამნობითა, ეგრეთჳს ეკლესიის წერილთა წარკითხვითა, მწერლობითაცა ქებული და მონოზონებითაცა სრული. ამან მიიღო მეორე ანტონი კათალიკოსისაგან არქიმანდრიტობა, და აწ მსახურებს მას, და ცხოვრებს მისთანა განუშორებელად.

81.

გერასიმე მღვდელ-მონოზონისა ტკბილ-მგალობელისათვის.

გერასიმე იმერეთისა ქჳსუნიდამ მოსრული ძმითურთ თვისიო ოთარათი, ესე სცხოვრებდა პირველ რაჯის ერისთვებთან და მერე დაშთა ანტონი კათალიკოსთან, რომელმანცა მიიღო რიცხვთა შინა ბერებთა თვისთათა. ესე იყო ფერიად სწავლული გალობასა შინა, რომელმან უწყიდა ვიდრე ხუთასი უკჳს ჴრელი, რომელსა თქჳს უწოდთ კონტერტსა. იყო უცხო მთქმელი და მსმენელთა ყურისა მშოველი. ამან აღზარდნა მრავალნი შეგირდნი გალობასა შინა, და გაამრავლა ქართჳსლთა შორის გალობა, რომელნიცა იყუნენ უფრორე ჩინებულნი მოწაფენი მისნი მგალობლობითა სახელდობი: კვალიაშვილი სოლომონ, დირაბელი გიორგი, ფეონტი (sic) სოლაყაშვილი, ქარემიძე (sic) იოანე, და ძმისწული მისი და სხუანიცა მრავალნიცა მოწაფენი მისნი, და ამა მასწავლებლობასა შინა დაშურა ესე და ძმა მისი ოთარა, ვიდრე

ორმოცი წელი და უკანასკნელ დაიდგინა არქიმანდრიტად მეორე კათალიკოსის ანტონისაგან.

82.

ღერგასი სამთავნელისათვის.

ღერგასი მაჯავარიანი სამთავნელი, ესეცა იყო ადზრდილი კათალიკოსი ანტონისაგან, მთავარ დიაკვნობასა შინა ჰირველ ქებულ, და უკანასკნელ მიიდო არხიერობაჲ, ესე არს ტიბიკონთა შინა გამოცდილი და მშვენიერი ტერემონისი, უცხოდ რიგზედ შემწირველი, სტუმართ მოუვარე, და ეკკლესიათა თვისთა მოღვაწე, და თქუენ მიერცა ჰატივცემული.

83.

გაბრიელ ჯვარის დეკანოზის მამისათვის.

ესე გაბრიელცა იყო კათალიკოზისა ანტონისა მოწაფეთა რიცხუთაგანი, რომელმანც ზედ მიწევნით ისწავლა ფილოსოფოს-ღ´თის-მეტყუენლება. არს კარგი მწერალი და მოქადაგე კეთილი, ზნეთ-სწავლულებასა შინაცა გამოცდილი და კეთილი მოღვაწე ეკკლესიისა თვისისა.

84.

ზაქარია მოძღვარეოფილისა გაბაშვილისათვის.

ზაქარია გაბაშვილი მღვდელი. ესე იყო ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღ´თის-მეტყველებისაცა მიწევნილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე. ამან იღვაწა ქიზიყსა შინა ქადაგებითა, რომელთა შორის შევიდა მცირედ ლეკიანობა, და მალე მოაქცივნა იგინი. ესე იყო მშვენიერი მწერალი და მთხუზველი მადალსა ფრასსა ზედა, უცხო ჰიიტიკოსი და მღვდელობითა სრული, რომელიცა იქმნა მეფეთა მოძღვარიცა. ხოლო უკანასკნელ მცირე რამ სანდურავისათვის ანტონის კათალიკოზისა და თვისგან წარმოვიდა როსიად და მერე მოვიდა იმერეთს, და მუნ განისვენა.

85.

გლახა ნათისშვილისათვის.

გლახა ნათისშვილი იყო დიაკვანი მეფის კარის საყდრისა, ფილოსოფოსი და ღ᾽თის-მეტყველებასა შინა სრული და უცხო მოქადაგე, დიდი რიტორი, სომხურსა ენაზედ მიწევნილი, რომელმანც კარდმოიდო სომხურისა ენისაგან სვიმეონ ჯუღელ ფილოსოფოსისაგან შემოკლებული კავშირი, ბროკლეს მიერ ქმნილი ღ᾽თის-მეტყველება და შეთხზა ამა ნათისშვილმან მაღალსა ქართულსა ენასა ზედა სასკოლო სასწავლებად, და სხვანიცა წერილნი გადმოსთარგმნა და ესრეთ აღასრულა წელნი ოვისნი.

86.

მამასა ტიმოთე ეპისკოპოზისა ერისთავთ გუარისათვის.

ტიმოთე ეპისკოპოზი ერისთავთ გუარისა თავადი, კაცი მეცნიერი, წარვიდა ტფილისიდამ და მივიდა სტამბოლს. სულთანმან კარგა მიიღო და უბოძა თხოვნისაებრ მისისა ფარმანი მოსალოცველად წმინდათა ადგილთა და ესე წარვიდა მუნით, და მოიღოცნა წმინდანი მონასტერნი და სადაცა რაჲ იხილა ყოველივე აღსწერა კეთილად და მშვენიერად, რომელსა უწოდა წიგნსა ტიმოთიანი, და სხუანიცა სწავლანი შესძინა წიგნსა მას შინა, და კვალად მოვიდაცვე ქართლსა შინა და კეთილისა სცხოვრებითა განვლნო წელნი თვისნი.

87.

გერმანე ტფილელისათვის, რომელ იყო პირველ დაკეთ კარეჯის წინამძღუარი.

გერმანე ტფილელი, რომელიცა სიყრმითგან თვისით აღიზარდა მონასტერსა შინა ესრეთ მცირე ყმა, რომელ ოდეს წარმოგზავნეს მონასტრის მამათა სოფელსა შინა მოსარეწველად მოწყალებისათვის ერთაგან, მხილველმან დედაკაცებთაგან იკითხა, თუ ვინ არიან ესენი, რომელ პირველ ხილვასავე განკვირვებულ იყო, ვინათგან არა

უწყოდა სახეჲ დედათა. ამან კეთილად იდვაწა მონასტრისათვის, იყო ფრიად სიწმინდის მოუვარე და მეცნიერი უცხო, დიალექტიკოსი, მამათ ცხოვრებით წერილთა ზედა მიწევნილი, უკანასკნელ მეფემან ირაკლი იძულებით დადგინებულ ჭყო ტფილელად ტფილისსა შინა, და კეთილად იდვაწა ეკკლესიისათვის, და მრავალნიცა განსწავლნა სამღვდელოდ და ესრეთ სიწმინდით გარდავლნო წელნი თვისნი.

88.

ეფთვიმი წინამძღვრისათვის.

ეფთვიმე წინამძღვარი წმინდის ნათლის მცემლის მონასტრისა, კაცი ფილოსოფოსი და ღ᾽თის-მეტყველი, სათნოებათა ზედა უცხო მოქადაგე. ამან ფრიად იდვაწა მონასტრისათვის, და აღაშენა სოფელი ხაშმი, რომელიც იყო ქსნის ერისთავთა ლეკთა მოუვანის მიზეზით დამწვარი, აღუშენა უცხო ვენახი და წისქვილნი, რომელიც აწ განუყიდა თეოფილაკთემ, თქვენმან დადგინებულმან; ამან მრავალი შემატა მონასტერსა, ვითარცა ნივთნი, ეკრეთვე შამულნიცა, და ესე იყო ფრიად მემარხულე და მლოცავი და თითქმის სასწაულისა მოქმედებასა შინაცა მიწევნილი და სხვებრ სტუმართ მოუვარე, და ესრეთ დასრულა ცხოვრებაჲ თვისი, და ამანაც ასწავა რაოდენთამე მოწაფეთა ფილოსოფია და ღ᾽თის-მეტყველებაჲ.

89.

თომა წინამძღვრისათვის.

თომა დავით გარეჯისა წინამძღვარი და გვარით გარსევანაშვილი, ესე იყო სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდმული და მგალობელი სრული, ამან აღზარდა სამღვდელოდ სწავლასა შინა ვიდრე ას ორმოცდა-ათამდის სულნი, რომელნიცა მისსავე დროსა შინა დაიდგინნენ დიაკვნად და მღვდელებად, სოლო ერის კაცნიცა მრავალნი იქმნენ მის მიერ განსწავლულ, ვითარცა წერილთა შინა, ეკრეთუნ გალობათა, და უკანასკნელ დაიდგინა მეფეთაგან წინამძღვრად დავით გარეჯისა მონასტრისა და მუნცა იღუაწა მხცოვანებასა შინა თვისსა

და მწუსიდა კეთილად, და ესრეთ გარდავლნო დღენი ცხოვრებისა თვისისანი.

90.

იოანე წიდგნელ ეპისკოპოზისათვის.

იოანე წიდგნელ ეპისკოპოზისა ქარუმიძისა, ესე ადიზარდა გარესჯის მონასტერსა შინა სიყრმითგან და ისწავა მუნ ფილოსოფია და სხვანი სწავლანი, იყო მშვენიერი მოუბარი და მამაბ ცხოვრებისა მცოდნე; ამან ადზარდა რაოდენიმე მოწაფენი და მათ შორის იოანე ოს-ყოფილი, რომელმანც მიიღო ფილოსოფია და სთარგმნა ოსთა ენათა ზედა კონდაკი და ლოცვანი და მრავალნიცა დაიმოწაფნა, და პატივიცა მიიღო თქუფ̃ნგან.

91.

მცირე ისაკისათვის.

მცირე ისაკ, რომელსა ქართველნი პატარა ისაკად სახელს დებდენ ესე იყო მეცნიერი კაცი და მშვენიერი მესტიხე, და კარგი მწერალი, რომელმანც კეთილად განატარა ცხოვრება თვისი.

92.

ღეონტი სოლაყაშვილისათვის.

მღვდელ-მონოზონი ღეონტი სოლაყაშვილი, ესე იყო საფილოსოფოსოსა სწავლასა შინა გამოცდილი და მგალობლობასა შინა პირველი მგალობელი. რომელმან უწყოდა ვიდრე ხუთასამდისინ ჯრელი და სხვანი გალობანი, ამან განსწავლნა მრავალნი მგალობელნი და კეთილად განვლო წელნი თვისნი.

93.

სიონის დეკანოზისა ყოინისძისათვის.

სიონის დეკანოზი ყოინისძე იყო სამღრთო წერილში გამოცდილი, ხუცურის ხელის მწერლობაში პირველი, რომელ ჯერეთ არ-

ვინ ოფილა ამისთანა მშვენიერის ხელის მწერალი, ვითარცა ესე და აგრეთუს ხელ-ჩართული მშვენიერად, ამან გარდასწერნა მრავალნი სამღრთო წერილნი და ამან აღწერა ერთისა კალმითა მთელი კონდაკი, სამღვდელო მსახურებაში სახმარი, რომელსა მეორე კალამი ხელმეორედ გამოუჭრია. ამან დია პატიოსნებით იცხოვრა, და უუვარდათ მეფეთაცა, და ესრეთ დასრულნა წელნი თვისნი.

94.

ზაქარია წირკნელ ეპისკოპოსისათვის და მერე ამბროსად წოდებულისა.

ესე ზაქარია, ზედ წოდებით ამბროსი, ძმა იყო ამა ზემოხსენებულისა ნიკოლაოზ დეკანოზისა, იყო მეცნიერი, სამღრთო წერილსა შინა გამოცდილი და უცხო მწერალი, ვითარცა ხუცურისა აგრეთუს მხედრულის ხელისა. ამანაც მრავალნი სამღრთო წერილნი და ისტორიები გარდასწერნა. ესე იყო კარგი პიიტიკოსი, მუსიკოსი და სრული მგალობელი. ამან აღზარდნა რაოდენნიმე მოწაფენი და უკანასკნელ მეფემან ირაკლი, დაადგინა მწყემს მთავრად ნეკრესის ეკკლესიისა, ნეკრესელად, და მუნცა იღვაწა კეთილად.

95.

დოსითეოს ნეკრესელი ეპისკოპოსისათვის.

ნეკრესელი დოსითეოს ჩერქეზისშვილი, კაცი მეცნიერი და ღ´თის-მეტყველებისაცა მცოდნე, ამან უწყოდა სომეხთა ენა კეთილად, რომელმანც გარდმოიღო სომეხთა ენისაგან მიხითარ ბრძნისა რიტორება მშვენიერ ენაზედ, ესე ვითარცა მოხოზონებასა შინა აგრეთუს ერის კაცურთა საქმეთაცა შინა გამოცდილი იყო, რომელ ყამსა მტრიანობისა და ომობისასა ყოველთვის ამხნობდის ერთა და კეთილისა რჩევითა თვისითა კარგათ წარუმართუვდის საქმეთა და ესრეთ მოხუცებულებისა ყამსა დასრულა ცხოვრება თვისი.

96.

იოანე ნინო წმინდელისა ჯანდიერისშვილისათვის.

იოანე ნინო წმინდელი ჯანდიერისშვილი, ესე იყო ჭსწავლული კაცი მეცნიერი, და სრული მგალობელი. ამან სწავლასა და მგალობლობასა შინა აღზარდა მეფეჲ ირაკლი და სხვანიცა თავადნი და კეთილადცა იღვწა ეკკლესიისათვის თვისისა, და ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი.

97.

ისაკ ხუტესი კანდელაკისათვის.

ისაკ ხუტეს-კანდელაკი, ესე იყო სამღრთო წერილთა შინა გამოცდილი, მოკამნეთა შორის ჩინებული, და ხუტურისა წერისა შინაცა ქებული, მგალობლობითა სრული, რომელმანცა იცოდა ჭრელი ვიდრე ათასამდისინ; ამან მრავალთა ასწავლა გალობა, აქუნდა ბატივი მეფეთაგანცა და კეთილად განატარნა დღენი თვისნი.

98.

ხუტესისა ნიკოლაოზ გაბაშვილისათვის.

ნიკოლაოზ ხუტესი გაბაშვილი იყო სამეცნიეროსა სწავლასა შინა გამოცდილი, კარგი მოქადაგე და შესხმათა შემთხზველი. ესრე უფრორე სცხოვრებდა იმერეთს შინა და აქუნდა ბატივი მეფისაგან, ამანცა აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი და კეთილად განატარა ცხოვრება თვისი.

99.

ნიკოლაოზ ბიჭიაშვილისათვის.

ნიკოლაოზ კახი ბიჭიაშვილი, ესე იყო მეცნიერი დაკარგი რიტორი. ესე იყო თანა შეზრდილი მეფისა ირაკლისა, უცხო მოქადაგე, რომელმანც მრავალი ქადაგება გამოთქვა. ესე იყო მცხეთის დეკანოზობის ხარისხით, გარნა მარადის მსახურებდა მეფეთა კარისა

ეკლესიასა შინა; აგრეთვე საქვეყნო სარგებელთა რჩეულთაცა შინა მრავალ გზის დაესწრებოდის მეფესთან, რომელსაცა აქუნდა მადლი კარგ უბნობითა თნებად მსმენელთადმი, და კარგთაცა აჭზრებთა იყო მომხოებელი.

100.

ალექსის შვილნი მწერალ-მკალობელნი სახელდებ:

ალექსი დეკანოზი ანჩიხატისა, ესე იყო მეცნიერი კაცი, მოძღვარი სულიერი, ანტონი კათალიკოზისა მწერალი ხუცურისა და ხედრულისა (sic), რომელიც ლირს ქებისა არს ნაწერნი ამისგან. ამან მრავალნი სამღრთონი წერილნი და ისტორიანი გარდასწერნა, და ამან კეთილად ადზარდნა შვილნი თვისნი: გიორგი, სოლომონ და დავით, რომელთაცა ასწავლნა სამეცნიერო წერილნი სამღრთონი და მგალობლობაცა. ამათაც ისწავეს ხუცურისა და ხედრულისა წერა, გარნა მხედრულსა წერასა შინა ჯერეთცა არც ძველად და არც ახლად არვინ თქმულან უკეთეს ამათსა; და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა; ეგრეთუცა ძენი ამათნი მიქელ გიორგისშვილი, დიმიტრი, იოელ და ტარასი სოლომონისშვილნი, პირველნი მწერალნი მხედრულისა ხელისა, ხოლო მგალობლობასა შინა სრული იოელ, და კეთილადცა სწავლულნი სტხოვრებენ ჯერეთცა.

101.

იასტოს ერასტისშვილი ანდრონიკეს გვარისათვის.

ესე იასტოს ანდრონიკესშვილი ადიზარდა კათოლიკოსის ანტონის კრებულთა შორის; ამას ასწავლნა თეოლოსოფია და ლთისმეტყველება ვარლამ ეპისკოპოსმან ერისთვისა შვილმან. ესე არს მონოზოხობაში კარგი, და განმარტებელი სამღრთოთა და საფილოსოფოსოთა წერილთა კეთილად. ამანვე ადზარდა სხვანიცა მოწაფენი, ხოლო მოწაფეთა მათ შორის იოანე მღვდელი კოლოუბნისა უწარჩინებულეს იქმნა სხვათა ზედა, რომელიცა აწ თქვენგან დადგინებულ არს მოძღვრად შკოლასა შინა ქართველთასა და აგრეთუცა ასწავა ფილოსოფია გიორგი ადაბაბაშვილს და იოანე უულარადარისშვილს.

102.

ნიკოლაოზ ხელაშვილი კახისათვის.

ნიკოლაოზ ხელაშვილი კახი აღზარდა დავით ალექსისშვილმან; ჭსწავლასა შინა გამოცდილი და სადოდმატიკოსისცა, მგალობლობასა შინაცა კარგი, რომელ მამა მისი გიორგი კახურსა გალობასა შინა იყო პირველი, რომელმან ასწავა შვილსა ამას თვისსა, და აწ ეს არს მოძღურად საქართველოსა სკოლასა შინა ნატვლად ზემოხსენებულისა იოანე მღვდლისა.

103.

ეგნატი ონისიმეს ძის მარტყოფელისათვის.

ეგნატი მღვდელი, კარის ეკლესიისა წმინდის გიორგისა, ონისიმეს ძე მარტყოფელისა, აწ იოსელიანად გვარ მიდებულისა, ესე მცირე მეფემან მეათცამეტემან გიორგიმ თვისსა ბატონისშვილობასა შინა აღაზრდევინა სწავლასა შინა სათეოლოსოფოსოსა და სამღრთის-მეტყველოსა, ასწავებინა ენაჲ სომხური ტერ დავითს, კაცსა მეცნიერსა, რომელმანცა უცხოდ მიიღო ჭსწავლა, და ენა სომეხთა ზედმიწევნით, ვითარცა არს ესე ფილოსოფიისა და სამღრთოსა წერილსა შინა გამოცდილი, ეგრეთვე უცხო რიტორი, მშვენიერ მოუბარი, და კარგი წარმკითხველი წერილთა. ამას ასწავა ახსნით მზე ჭაბუკ ორბელიანმან დამასკელის წიგნი და ბროკლე კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსისაგან ქმნილი ღ^აოის-მეტყველება, კავშირად წოდებული, და სხვანიცა ღრმანი წერილნი და აწ ჭსცხოვრებს ესეცა, დროსა ამას შინა უქმად.

104.

იოანე ლარაძის დეკანოზისათვის

იოანე მღვდელი ლარაძე. ესე აღზარდა სათეოლოსოფოსა ჭსწავლასა შინა მზეჭაბუკ ორბელიანმან. ესე იოანე იყო მშვენიერი მწერალი და კარგი დიალიკტიკოსი. ამან შემდგომად მამისა თვისისა,

გიორგი ხარების ეკკლესიისა დეკანოზისა, მიიღო ადგილი მისი და კეთილად იღვწა საუდრისა მისთვის და ესრეთ განვლნო წელნი თვისნი.

105.

ზაქარია ლალახანაშვილისათვის ხუცესისა.

ზაქარია ხუცესი ლალახანასშვილი, ესე არს არაგვის ერისთავთაგანი მხევლისაგან, ესე აღაზრდევინა მეფემან ირაკლი ჭსწავლასა შინა, მიიღო ჭსწავლა კეთილად და ენაცა სიმხური, მოქადაგეობასა შინაცა აქუს ნაწილი, და აწ თქუენნგან გაწესებულია კახეთს სკოლასა შინა მოძღვრად.

106.

სხუანი მოწაფენი დავით ალექსისშვილისანი.

ალექსისშვილმან დავით თელავის ქალაქის სკოლასა შინა აღზარდნა ვიდრე სული ოცდა-ათამდის, ხოლო მათ შორის ბერი ნიკიფორე მიქელისშვილი ხირსელაშვილი, ალავერდის დეკანოზის შვილი ქობულოვის შვილები, სოლომონ, გეგენა და ოთარ; მუხრან ბატონისშვილი, სვიმონის ძე; ლალიხანისშვილი ვასილი, და სხვანი რომელთა მიიღეს სწავლა აზნაურებითი კეთილად, და ისტორია და ხელწერილთა წერა მხედრულ-ხუცურისა, დია მშვენიერ, და სხვებრ სიბრძნითაცა ქებულნი გამოვიდნენ.

ერის კაცთა ჩვენის დროსათა მეცნიერთა.

107.

იოანე ორბელიანისათვის.

იოანე მდივანბეგი ორბელიანი, კაცი სიბრძნესა შინა აღზრდილი, რომელმან უწყოდა ზედ მიწევნით ფილოსოფია და დ᾽ოის-მეტყველება, იყო ვარსკლავი მრიცხველი, ფიზიკოსი და არითმეტიკოსი'

უწყოდა ბუნების ისტორია, და იყო უცხო რიტორი, კარნა უქმ-ექმნეს ჭსწავლანი ესე, ვინათგან მიიღო დათინთ სარწმუნოება. ესე იყო ფრიად კონება მახვილი, ესრეთ რომელ მსცხოვრებისა კამო თვალთაგან მოკლებულ იქმნა და ვერა რაჲსა ხედვიდა, მაშინც ყო-ველთა წერილთა ძალედუ კანმარტებად.

108.

მზე-ჭაბუკ ორბელიანისათვის მსაჯულისა.

მზე-ჭაბუკ ორბელიანი, კაცი შესახედავი, მზეკავსი ეზოპესი და ძველთა ფილოსოფოსთა ზედმიწევნილი, ღ᾽ოის-მეტყველებასა შინა კამოცდილი, და ბაქრობასა შინა მარჯვე, აკრეთვე ხუმარ-სიტყვაო-ბასა შინაცა მარჯვე და ბასუხისა უცხოთ მიმგები, მესტიხეობასა ში-ნაცა ქებული და მსაჯულისა საქმეთაცა შინა კამოცდილი, ამან აღ-ზარდა რაოდენიმე მოწაფენი, ამანვე სთარგმნა ძველი საფილოფოსო წიგნი, ბერიარმენიად წოდებული, სომხურისა ენისაგან. ესე იყო მე-ფეთაგან მიჩნეულ, რომელიცა შეაქცევდის ხუმარ-სიტყვაობითა, რო-მელისა ანეკდოტნი, მისგან მრავალნი ნათქვამნი, უწყიან ქართველთა.

109.

ასე მდიგან-მსაჯულისათვის.

ესე ასე ოსეს ძე იყო ჭსწავლული კაცი და ქართულსა შინა ისტორიასა კამოცდილი და ზედმიწევნით მცოდნე, ამას უცხო მა-ღალი აქუნდა მწერლობისა, და ჭქმნა ქართველთ ზნეთა ჭსწავლულე-ბისა წიგნი, იყო კარგი ბიიტიკოსი და ზრდილობასა შინა მოსაწონი.

110.

სოლომონ ლიკანის ძე მდიგნისათვის.

სოლომონ იყო კვარით ლეკთაგანი და ამან მიიღო ჯილდოდ თავადობა და კუარი მეორისა მეფისა ირაკლისაგან, ვინაჲთგან ესე

სოლომონ დაიჯრა ბრძოლასა შინა ერევნისასა მეფისა წინაშე. ესე იყო გონება მახვილი, წერილთა შინა გამოცდილი, სიტყუჳა მარჯვე და საქმის წერათა შინაცა კარგი, უკანასკნელ, ოდეს აღდგა (?) საქართველოსა შინა მეფობა, წარვიდა იმერეთს მეფისა სოლომონისთანა დამსახურა მას ძალისამებრ თვისისა და გარდაუვა ოსმალის ქუჳყანასა შინა და მუნ სნეულებითა გარდიცვალა.

111.

ბესარიონ გაბაშვილისათვის.

ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო ბიიტიკოსი, მოშაირე, მჭსგავსი რუსთველისა, რომელმანც მრავალნი საამო შაირნი დასწერა სპარსთა ხმათა ზედა სამდერელი ქართულისა ენითა და აგრეთჳს სხვანიცა ლექსნი. მოუთხრობენ ამისი ვის, რომელ ჭსცოდნოდეს ზეპირად მთლად ლექსიკონი ქართული. აგრეთჳს ამის შემდეგნი მესტიხენი არიან: დავით ჯიმშერის ძე ჩოლაუაშვილი, პეტრე ლარაძე, რომელმან აღსწერა ხელახლად დილარიანი და შეაწყო თვისით, ხორგჳაშვილი თეოდორე, იოსებ, პაპა მუსრიძის შვილი, ბარამ ბარათაშვილი, და სხჳანი ახალნი უმაწვილნი კაცნი ქართველნი და სომეხნიცა.

ტფილისსა შინა სომეხნი მეცნიერნი.

112.

ზაქარია ვართაპეტისა მადინაშვილისათვის.

ესე ზაქარია მადინაშვილი ვართაპეტი იყო ზედმიწევნილი ფილოსოფოს-ღ´თის-მეტყველი და მკურნალობისა კელოვნებისაცა მეცნავი. ამან ასწავა მრავალთა ქართველთა და სომეხთა საფილოსოფოსო წერილნი და ამან განუმარტნა კავშირი ღ´თის-მეტყველებითი, ბორფირის ფილოსოფოსისა ხუთი ხმა, და საზღვრისა წიგნი, დავით უძლეველისა ფილოსოფოსისა მიერ ქმნილი, სხვათა და სხჳათა მოწაფეთა, და ამით განანათლნა მრავალნი.

113.

ტერ-ფილიპესათვის.

ესე იყო ზედმიწევნილი ფილოსოფოსი მზჭვავსი ზემოხსენებულის ვართაპეტისა, ამანაც მრავალნი მოწათვენი განსწავლნა, და შეეწია რაოდენთამე წიგნთა თარგმანებათა შინა კათოლიკოს ანტონი ხირველსა.

114.

ტერ-პეტროზასათვის.

ტერ-პეტროზაც იყო მჭზგავსი ამა ზემოხსენებულთა და მთარგმნელობასა შინაცა კარგი, რომელ შეეწია ამანაც კათალიკოზსა ანტონის თარგმანებასა შინა წიგნთასა; აგრეთვე არიან კარგნი მთარგმნელი სომხურისა ენისაგან ქართულად და კარგნი დრამატიკოს-დიალექტიკოსნი ტერ-დავითა და ტერ-სამოელ.

რომელთამე თაკადთა დროსა მეფისა თეიმურაზ და ირაკლისასა.

115.

იესე ქსნის ერისთავი ბიშალერისათვის.

ესე იესე იყო კარგი შაირთა შემთხუზველი, ამან ქმნა აკოლოთია წმინდათა მოწამეთა შალვა და ელიზბარისა, ესე იყო ჭსწაულის მოუგარე, კარნა ამასთანაც აქუნდა დიდების მოუგარება.

116.

დიმიტრი ორბელიანისათვის.

დიმიტრი ორბელიანი იყო დროსა ვახთანგ (sic) მეფისასა წინათ, მეცნიერი კაცი და შაირთა კარგათ შემთხუზველი, კარნა უფრორე მრავალნი ამაო შაირნი კამოსთქუნა, ვიდრე სასარგებლონი.

117.

ვახთანგ ორბელიანისათვის.

ვახთანგ ორბელიანი, ესე იყო სოფლოსოფოსთა სამდრთოთა წერილთა შინა ზედმიწევნილი, უცხო მესტიხე და მშვენიერი, მზგავსად ძველთა, და კარგი ანბანთ ქებისა შემაწყობელი, ამან ასწავა რაოდენიმე სწავლის წერილნი ანტონი კათალიკოზსა სიყრმესა შინა მისსა.

118.

ვახუშთი ბუშისათვის ბაგრატიონისა.

ვახუშთი ბუში ბაგრატიონთა ადზარდა ვახთანგ მეფემან მოსკოვსა შინა, და იყო კარგი მეცნიერ. ამან განავრცელა ქართლის ისტორია და აღწერა კარგათ; აგრეთუს მეფეთა შთამამავლობანიცა, კარნა ვინაითგან გამოძებულ იქმნა კახთა მეფეთაგან, ამისთვის ისტორიასა შინა, თვისსა მიერ ქმნილსა, შურიათა მოუთხრობს საქმეთა მათთა შეწევნითა ცხვირმოჭრილისა ორგულობასა ზედა მეფისსა ამილოხორის შვილისა, და ამისთვის ზრახვენ ქართველნი და არა ჭეშმარიტს ისტორიად რაცხვენ, ვინაჲთგან შურიათა მეფეთა და მრავალთა თავადთა აუგნი დაწერა.

119.

დიმიტრი ციციშვილისათვის.

დიმიტრი ციციშვილი აღიზარდა მოსკოვს სასწავლებელსა შინა, ამან მიიღო უცხოდ სხვა და სხვა ენათა სწავლანი და სოფლოსოფოსო ხელოვნება, ისწავა მათემათიკა და სთარგმნა ქართულად ღეომეტრია და სხვებთაცა შეეწია თარგმანებასა ზედა წიგნთასა ქართველთა.

120.

დიმიტრი ბაგრატიონისათვის.

დიმიტრი ბაგრატიონი, შვილის შვილი იესე მეფისა მხეკლისაგან, ესე ორგულობისათვის გამოძებული მოვიდა მოსკოვს, ისწავა რუ-

სული, არს კარგი მთარგმნელი, რომელმანც ჴსთარგმნა რაოდენიმე წიგნი, და არს კარგი მესტიხე, რომელმანც აღწერა შაირად წმინდის დედოფლის ქეთევანის ცხოვრება.

121.

ანდრონიკესშვილი პაატასათვის.

ანდრონიკესშვილი პაატა, ესე მცირე უმა ალაზრდევინა ბიძამან მისმან ეოვლად სამდვდელო ალაგერდელმან მოსკოვს შინა, მიიდო სწავლა რუსულისა ენისა და ქართულისა, ისწავა მათემათიკა, მხაზველობა, არტელარია და ფორთუფიკაცია, მერე მოვიდა ქართლსა, მიიდო მეფემან ირაკლიმ პატივითა და უბოძა თოფჩიბაშობა. ამან განაწყო კეთილად თოფხანა და ჩამოასხა სხუა და სხვა გვარი ზარბაზნები, განასწავლნა თოფჩნი ვიდრე ორასამდის და სხვათაცა ასწავა ხელოვნება თვისი, და ესრეთ მსახურებითა მამულისათა განვლნო წელნი თვისნი.

122.

გაბრიელ სომეხისათვის.

შემდგომად ამისა დაიდგინა გაბრიელ სომეხი, ამანაც კარგად იცოდა არტელარია და ესე ძმითურთ თვისით მეფისა ირაკლისა წინაშე დაიხოტნენ ალა-მამათ-ხანის ბრძოლასა შინა; და მერე განწესდა მოსამსახურედ არტელარიისა გეურქადა, ნასწავლი მოსკოვს, და ამანაცა კარგა უწყოდა, ვირთაცა არტელარია, ეგრეთვე ექიმობაცა.

123.

ათანასე თარხნისშვილისა კავთის მონასტრის წინამძღვრისათვის.

ესე ათანასე თარხნისშვილი, თუმცა არა იყო დია ჴსწავლული, კარნა სიმხნითა იყო სრული. ამან დიდად იღუაწა ქუაბთახევის მონასტრისათვის ლანგ-თემურის მიერ შემუსვრილის, ალაშენა ნაოხარი

სოფელი კავთისა-ტბეი, ბრძოდა ძლიერად ლეკის ჯართა, რომელმანცა მრავალჯერ გაიმარჯვა მათ ზედა, და სხვანიცა ერნი მცხოვრებნი გადმა მხარსა შინა განამხნო და განამტკიცნა, აქუნდა ხატივი მეფის ირაკლისა და მეფის გიორგისაგან, და დღე და ღამე იყო მზრუნველ ერთათვის თვისთა, და ესრეთ კეთილად განკლო ცხოვრება თვისი.

124.

დოსითეოს ფიცხელაურისათვის კავთის-ხევის მონასტრისა.

შემდგომად ათანასისა დაიდგინა დოსითეოს ფიცხელაური არქიმანდრიტად ქუაბთა-ხევის მონასტრისა. ესე არს წერილთა შინა გამოცდილი და უბნობათა შინა რიტორი; ამანაც იდუაწა მჭსგავსად ბერველისა, და განაახლა კელახლად მონასტერი და დაადგინა ბერები, ამანვე აღუშენა კარგი წისქვილი გორსა შინა, და განუმრავლა შემოსავალი მონასტერსა და მერე ათანა მოეკვა აქა ანტონი კათალიკოზსა, და თქუენ მიერ მიიდო არხიერობაჲ კავკასიის მთისა, და წასრულმან ქართლად მონათლნა რაოდენიმე ათასნი სულნი ოსთაგან, და განაწესნა მღვდელნი და კეთილად მწყსიდა ეკკლესიათა ღ(ა)თისათა. გარნა შურითა ქსნის ერისთავთაგან და მუნეებურისა მთავარ-მართაებელისა ტიშეგისაგან (sic), კაცისა მოქრთამისა და განუძღომელისაგან, სიტრუით შესმენილ იქმნა, და ბრძანებითა თქუენ[ა]ნითა მოწოდებული ჩსცხოვრებს აწ მოსკოვსა შინა.

რომელთამე ქართველთა და იმერეთისა ღირსთა კაცთათვის.

125.

მამისა ანტონი ჭეოინდელისა დადიანის მისათვის.

ანტონი ჭეოინდელი დადიანის ძე, ესე იყო ჩსწავლასა შინა სამეფოსოფოსოსა და სალ(ა)თის-მეტყველოსა შინა გამოცდილი, ბერველი მოქადაგე, რომელმან აღსწერა მრთელად ყოველთა დღის წლის

ქადაგებაᲐ მჭსკვავსად მინიათიისა (sic) მშვენიერ. ამან დროსა ᲗᲘᲡᲐ მეოვის სოლომონისსა დაუეო ᲗᲘრი ბასსსა ზედა ლათინთა ᲗᲐტრსა, კაცსა მეცნიერსა, და არწმუნა სულისა წმინდისა მხოლოდ მამისაგან კაშოსვლა, და ამან კეთილად დამწესო ეკეკლესია თვისი, და მერე დაუტევა თანამდებობა თვისი, და მისცა ადგილი იგი ძმის წულსა თვისსა ბესარიონ ᲬᲣᲝᲜᲓᲔᲚᲡᲐ.

126.

ᲓᲘᲠᲡᲘᲡᲐ ᲛᲐᲫᲘᲡᲐ ᲡᲔᲠᲐᲤᲘᲝᲜ ᲜᲐᲗᲚᲘᲡ-ᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲒᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ესე დირსი მამა სერაფიონი იეო იმერეთით და ესე დადგინებულ იქმნა მეფისა ირაკლისაგან წინამძღვრად ნათლის-მცემლის მონასტრისა, რომელმანც იდუაწა კეთილად. ხოლო სიმშვიდითა და მარხვა-მოთმინებითა მჭსკვავსებდა ძველთა წმინდათა მამათა, ამან მიაწია საზომსა სასწაულთა მოქმედებისასა, რომელ ყამსა ამისსა იეო დიდი ლეკიანობა, და უდაბნოსა საჭიროებისათვის წარვიდა სოფელსა შინა მოსარეწველად ორისა თვისითა დიაკვნებითა, და მიმავალსა გზასა ზედა დახუდენ ლეკნი ვიდრე ას ოთხმოცამდინ კაცნი, და შეიპყრეს ერთი დიაკვანი მისი. მაშინ სერაფიონ გამოისახა ჯვარი და შეუტია უავრჯენისა ხელში მპყრობელმან, და ოდეს ვის გარდაუქნევდის, ივლტოდენ ᲗᲘრისაგან მისისა, და ესრეთ განარინა დიაკვანი იგი და თვითცა მშვიდობით განვიდა; ვერცა მიმხლოებელნი ლეკნი მისდამი; ხოლო შემდგომად ლეკთა მისგან მოიწია ამბავი, რომელ ბერი იგი ოდეს უავარჯენსა მას გარდმოგიქნევდის, მუნითგან გამოხდებოდის ცეცხლი შემწველი, რომლისა გამო ეოველნივე ვიქმნენით განტოლვილ. უკანასკნელ იდუაწა ფრიად და ყამსა მხცოვანებისასა უეველისად განისვენა, და თხოვისამებ მისისა დაფლეს ეკეკლესიისა კარისა შესავალსა გარეთ ადგილსა, რათა შემავალნი დასთრგუნვიდენ ფეერხით, და ესრეთ დასრულა დღენი თვისნი, და სხვანიცა სასწაულნი ქმნა, რომელიცა არს აღსწერილ ცხოვრებასა მისსა.

127.

მამის გერმანე დაუდებულისათვის.

ესე გერმანე დაუდებული იყო იმერეთით. ამან დაუტევა მშობელნი თვისნი და იქმნა მონაზონ, და მარტოებით ჰსცხოვრებდა წელ რაოდენმე მარხვითა და ლოცვითა, რომელ ეოველთვის შეინახამდის შვიდეულსა, ამას მრავალ გზის ბრძვეს სულთა არა წმინდათა სხვა და სხვა სახედ, გარნა ვერ უძლეს შერეკვა მისი. ესეცა მიიწია სასწაულთ-მოქმედებასა მადლსა შინა და ჰყო რაოდენნიმე სასწაულნი, და უკანასკნელ ჟამსა მხცოვანებისასა იმარხვა ორმეოცი დღე, და ეზიარა წმინდასა საიდუმლოსა, და ესრეთ სული თვისი შეეედრა ხელთა შინა ღ~თისათა.

128.

მამისა სვიმეონ გარესჯის წინამძღვრისათვის.

სვიმეონ წინამძღვარი დაეით გარესჯის მონასტერისა, ესე იყო სომხითელი ინაურიძე. ამან მრავალი ღვაწლი აჩვენა მონასტრისათვის თვისისა, იყო ფრიად ღირსი და წმინდათა შორის შესარაცხი, ამან ჰსცნა სულითა, რომელ მხედრობა მეფის თეიმურაზისა და ირაკლისა იძლეოდენ ჯარელთაგან, და აუწყა მეფეთა, რათა არა წარვიდეს მათზედა, გარნა არა უსმინეს, და იძლიენენ მათგან. უკანასკნელ სცხოვრებდა მონასტერსა შინა, რომელსა ღ~თის-მშობელისა ხატიცა გამოელაპარაკა; ხოლო ერთსა დღესა ხარებობისასა არა აქუნდათ ოეკზი მონასტერსა მას შინა მცხოვრებთა, და სწუხდენ ამისთვის, ხოლო მამა ესე ნუგეშინის ცემდა, შემდგომად წირვისა, ენებათ, რათა ესერათ სადილსა ზედა, ხოლო მამამან ამან ჰრქუა: მცირედ მაცალეთ შვილნო, რათა შევიდე სენაკსა ჩემსა; მაშინ ევედრა ღმერთსა მამა ესე და გამოვიდა გარე, რომელსა ელოდნენ კრებულნი. ჟამსა ამას მოეგრინდა ხირისხირა მათსა ორბი ერთი, რომელსა ეხურა ფერხითა ორაგული დიდი, და შთამოაგდო საშვალ მონასტრისა, რომელ ჯერეოცა ცოცხალი იყო ორაგული იგი, მაშინ რქუა მამამან: აჰა

შვილნო, მოგივლინა თქუენ ღმერთმან ნუგეში, ადიდეთ და შეაგბეთ ეგე და მერე ვისერთ, რომელ ეოველნი მადლობელნი ღ᾽თისა კრებულნი ადივსნეს სიხარულითა, და ისერეს მადლობისა შემწირველთა ღ᾽თისადმი.

129.

ქარუმისძე ონოფრესათვის.

ქარუმისძე ონოფრე იეო ერის კაცობასა შინა სამხედრო საქმისა მოეუარული და ამან მონასტერსა შინა ინება წარსულად მოსალოცველად, ოდეს იხილა წმინდანი ესე ადგილნი, მაშინ წარმოსრულმან მისცა განგება სახლეულებათა თვისთა და თვით იდუმალ მოვიდა გარესჯის მონასტერსა შინა და იქმნა მონოზონ, და მერე რაოდენისამე ხანისა შემდგომად შთავიდა მღვიმესა შინა დავით გარესჯელისასა, სადაცა ასოფლავია წმინდა იგი, და მუნ დაუუდებით ჭსცხოვრებდა შვიდეულისა და ორმოცის დღისა მარხულებითა, და ესეცა მიაწია მადლსა სასწაულთ მოქმედებისასა, და ესრეთ სიწმინდით დაასრულა ცხოვრება თვისი.

130.

იოსებ მოხეგესათვის.

იოსებ მოხეგე მღვდელი, ესე იეო ფრიად სიწმინდის მოეკვარე და მემარხულე, რომელ ეოველგან განითქუა სათნოება ამისი. ესე ნებითა ღ᾽თისა ადვიდა მეინვარის მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა, და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრამისა მამათ-მთავრისა, რომელ ჯერეთ არავინ ადსრულ არს მთასა მას, და მოართო მეფესა ირაკლის ნაჯერი კარავისა მის, და ესეცა მიიწია საზოგსა სასწაულთ მოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა.

131.

იოსებ კათოლიკოზისათვის.

იოსებ კათოლიკოზი (ხერხეულიძე), ჯანდიერის შვილი. ესე იეო ბირველად ანტონი კათოლიკოზისა, სამღრთოთა წერილთა შინა გა-

მოცდილი, ხოლო მონოზონებიო სრული და დიდი სიწმინდის მოუვარე. ამან კეთილად დამწყსო ეკეკლესია ოვისი და მერმე დაუტევა საუდარი თვისი და ამის ადგილს დაჯდა ანტონი პირველი კათოლიკოზი. ესე იოსებ წარვიდა კახეთს ახმეტას შინა და სცხოვრებდა მუნ კარჯაშნელისა სამეოთესა ადგილსა შინა, და იყო დიდსა ღუაწლსა და ლოცვასა შინა, რომელიცა მიწია სასწაულისა მადლსა შინა, და მრავალნი სნეულნი განკურნა და ირმასაც ადუხილნა თუალნი, და ესრეთ სიწმინდიო მოხუცებულმან სული ოვისი შეეედრა ღმერთსა.

132.

სხუანი ეკეკლესიის მსახურნი მგალობელ-მწიგნობარნი, ქართლსა და იმერეთსა შინა.

პირველი მგალობელი ჯალაქანიძე გიორგი, რომელი იყო გურიელი, და რომელმანც იცოდა ჯრელი ათას ერთი, ამან ადზარდა მრავალნი მგალობელნი და შჯლნი თვისნი. ამანვე ადზარდა მეთოდი რაჯის ერისთვის შვილი მდივანბეგი ქართლისა, მჭზგავსად მგალობლობასა შინა თვისსაებრ სრული; იყო ჩინებული მგალობელი: იესელა კანდელაკის შვილი, ეგნატე და დაშუა, ოქროპირი და სხვანი პირველნი მგალობელნი და კეთილად შემწყობნი ხმათანი. ხოლო ქართლსა შინა კირილლე მთავარ-ეპისკოპოსი, ციციშვილი იოთამ, მგალობელი დიმიტრი, გარსევანსაშვილი კოკია და სოლომონ, მელვინეთხუცესშვილი პაატა. ესენი საკუთრად მეფისა ირაკლისა იყვნენ მგალობელ-მწიგნობარნი, და ისწაულესცა მრავალთა, და სხუანიცა მრავალნი, რომელნიცა ყმაწვილნი კაცნი არიან.

133.

ახალნი მიტროპოლიტ-ეპისკოპოსნი ქართველთა და იმერთანი.

ბოდმელი (sic) **მაყაშვილი** იოანე ადიზარდა ნათლის ცემდის მონასტერსა შინა და მერე მეფისა ირაკლისაგან დაიდგინა ბოდმელად, ესე გამოცდილია სამღრთოთ წერილთა შინა, მან იღუაწა კეთილად ეკეკლე-

სიასა თვისსა ზედა და აღუშენნა კარგნი შენობანი, დაუმუშაკნა ვენახნი და კეთილად მწყესიდა სამწყსოსა თვისსა.

მზგავსად ამისავე **გელათელი ეგფთვიმე გურიის ერისთვის ძე**, სიერმითგან ვიდრე სიბერედმდე სიწმინდის მოუვარე, სამთა შეფეთა მსახურებელი, ესე იგი მეფისა სოლომონისა, ეკკლესიათა თვისთა კეთილად შემამკობელი, და მარხულობასა შინაცა ქებული; ამისა რომელისა მიზეზით მიეცა სანდურივი მეფესა თვისთაოვანა და მერეთ იწყო მსახურება უმაღლესისა კარისადმი თქუენისა; კარნა შურითა ესეცა მოკლებულ იქმნა საუდრისაგან თქუენისა და მოუვანებულ აქა.

ქუთათელიცა დოსითეოზი წერეთელი, კაცი პატიოსანი და სოუმართ (sic) მოუვარე და განმსვენებელი, ესეცა დასჯილ იქმნა და განტევინულ უკრძალველობითა წამოუვანის დროს მხედართა მართებელთაგან.

მთვარ-ეპისკოპოსი **ეფუკვაძე**, კაცი ღ᾽ითა-შემოსილი, და სიწმინდითა სრული, რომელიც ეოველთვის ჭეშმარიტის გლახაკთა ხორცისა ქალაქსა შინა სხუა და სხვა სენთაგან შეპყრობილთა ვიდრე ასისა სულისა უმეტეს.

ხოლო სხვანიცა არიან მრავალ დირსი ქებისა, და ეგრეთუცა **ზაქარია იმერელი**, არხიმანდრიტი გელათისა, რომელიც აღზარდა ჭსწავლასა შინა ევთიმე წინამძღვარმან ნათლის მცემლის მონასტრისამან, ამან იღვაწა კეთილად და გააკეთა სტანბაჲ ხუცური, შეწევნითა ზურაბ წერეთელისა სალხოუხუცესისათა და მრავალნი წიგნნი დაუბეჭდა იმერთა, რომელი ჯერეთ არა ქონოდათ სტამბაჲ იმერთა, და ესეცა **წარმოუვანებულ** იქმნა მცირისა მიზეზისათვის რუსეთად.

134.

ახალნი მთარგმნელნი ქართველნი.

მეფის ძე დავით, მირიან, ავალისშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გოდერძი ფირალოვი, იოანე ბაზლიძე, ჩუგუნისშვილი გიორგი, ნიკოლაზ ჩუგუნისშვილი და იესე მღვდელი, ძმა ამისი, და მიხაელ ფალავანდოვი. ხოლო ასტრახანს სემინარიასა შინა აღზრდილნი: ალექსანდრე მღვდელი და დეკანოზი ეიზლარისა პეტრიაშვილი კახელი, ამისივე ბიძაშვილი მღვდელი ალექსი და სტეფანე, ტიმოთეს შვილი

გრიგოლ მღვდელი, იოანე მღვდელი ჭილაშვილი, სტეფანე ამისი ძმა, და ვასილი ამისივე ძმა, ესენი უცხოდ ზედმიწევნილი სამეცნიეროთა, და რუსულისა და ქართულისა ენასა ზედა მშვენიერ შემოხუზველნი, და ამა ყოველთა მოარგმნელთა ზემოხსენებულთა თავად-აზნაურთა მრავალი წიგნები გარდმოიდეს სხვათა ენათაგან ბუნებით ენასა ზედა ჩვენსა, და მრავალნი ამათგანნი არიან აწ მიტვალებულნი.

შენიშვნები.

ქართველთა მოღვაწეთა და მწერალთა შესახებ ჯერ-ჯერობით ცნობანი სისტემატიურათ დაწყობილნი უძველეს დროიდან ჩვენ არ მოგვეპოვება. ცნობილია მხოლოთ უკანასკნელი ტაეში ვეფხის-ტყაოსნისა, რომელშიაც მოხსენებულნი არიან რამოდენიმე რუსთველის თანამედროვე და წინა დროის საერო მწერლები. მეჩვიდმეტე საუკუნეში არჩილ მეფემ დაინახა საჭიროდ გადმოეცა ჩვენთვის საინტერესო ცნობები შესახებ ცამეტთა „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა“, რომელნიც დაცულნი არიან არჩილიანში. მეთორმეტე საუკუნეში ანტონ კათოლიკოსმა შეკრიბა ცნობები ქართველთა ძველთა საეკლესიო და საერო მოღვაწეთა და მწერალთა შესახებ, დაწერა ასე თუ ისე სისტემატიურათ, გალექსა და შექმნა თავის დიდს შესანიშნავი წიგნი „წყობილ სიტყვაობათ“ წოდებული. უკანასკნელ ამ გვარ შრომათ უნდა ჩაითვალოს ეს ჩვენ მიერ ახლად გამოქვეყნებული „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“. ავტორს სტატიისა უსარგებლია ყველა ჩვენამდის მოღწეული ზემოაღნიშნული ცნობებით. არჩილ მეფის ცნობები ჩვენს ავტორს მოქცეული აქვს მე-70 ბარაგრაფში (გვ. 29), ხოლო ვეფხის-ტყაოსნის უკანასკნელი ტაეის ცნობა მე-60—63 ბარაგრაფებში (გვ. 25—26). ყველაზე მეტად ავტორი სარგებლობს ანტონ კათალიკოსის წყობილ-სიტყვაობით და იმაგე რიგით ადნუსხავს მოღვაწეთა და მწერალთა სიას, როგორც ანტონ კათალიკოსს აქვს მოყვანილი (შეადარე ბარაგრაფები ჩვენი გამოცემისა 2—54; 60—69 და ტაეები წყობილ სიტყვაობისა 645—793; 695—805). ანტონის წიგნი წინ უდევს ჩვენს ავტორს თავის სტატიის დაწერის დროს და-

ხელმძღვანელობის მით. ზოგჯერ საოაურებიც ბარაგრაფებისა ისე იწყება ჩვენს დედანში, როგორც მოუვანილია წყობილ სიტყვაობაში, მაგალითათ: „თვის მამისა იოანე ბატრიკ ეოფილისა“, „თვის მამისა იოანე ფილოსოფოსისა“ და სხვა. ასეთი ფორმები ჩვენ არ დაგვიცავს ზემოთ, ვინაიდგან დედანშიაც ეოველთვის არ იხმარება. ამ გვარათ ბირველი ნაწილი ხსენებული სტატიისა უმეტეს შემთხვევაში დამყარებულია ცნობილ წყაროებზე, მაგრამ აქაც ბევრი ისეთი ცნობებია მიმატებული, რომელთაც ზემო აღნიშნულ წყაროებში ვერ ვხედავთ. ასეთია მაგალითათ საინტერესო ლეგენდა დავით აღმაშენებლის რქოსან ცხენზე (იხ. გვ. 3), ლეგენდა იოანე ფილისოფოსის ჯიმჯიმელის შესახებ (გვ. 14), ცნობები ქრისტედულე ოსად წოდებულის შესახებ (გვ. 16) და მრავალნი სხვანი. რასაკვირველია, სტატიაში თვალ საჩინო შეცთომებიც მოიპოვება და მრავალი საეჭვო ცნობებიც, მაგალითათ, ძველთა მწერალთა შორის ავტორი უჩვენებს დილარგეთს, რომელსაც მიაწერს დილარიანის შეთხზვას (გვ. 25), მხოლოდ ვეფხის ტყაოსნის უკანასკნელი ტაეპის მიხედვით დილარგეთი მწერალი კი არ უნდა იყოს, არამედ გმირი ბოემა დილარიანისა. მისაღები არ არის აგრეთვე ახსნა, ვითომც სიტყვა „ბეტრიწი“, წოდება იოანე ფილოსოფოსისა, წარმოსდგებოდეს ბერძნული სიტყვიდან „ბეტრა“-ქვა (გვ. 14). ეგ მეტი სახელი წარმომდგარია მონასტრის სახელიდან ბოლგარიაში, სადაც იოანე მოღვაწეობდა. არ ვიცით აგრეთვე, რამდენათ მართალია ცნობა, ვითომც იაკობ შემოქმედელს ლეონ მიჯნურიანი გაელექსოს (გვ. 29). ამგვარი საეჭვო ცნობების მაგალითები საკმაოდ მოიპოვება.

თუ ბირველ ნახევარი სტატიისა ასე თუ ისე დამყარებულია ცნობილ წყაროებზე, მეორე ნახევარი (გვ. 29—55) მთლათ ავტორს ეკუთვნის და მის მიერ შეკრებილს, ნახულს და გაგონილს ცნობებზეა დამყარებული. ამ მეორე ნახევარს შრომისას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდგან მრავალ ახალ ცნობებს გვაძლევს ქართული ერის მოღვაწეებზე განურჩევლად ტომისა და სარწმუნოებისა. მეტადრე საყურადღებოა ცნობები ანტონ კათოლიკოსის მოწაფეებზე, რომელნიც მასწავლებლათ მოჰფენიან მიელ საქართველოს: ვინ დვთის მეტველების მასწავლებელი ეოფილა, ვინ ფილოსოფეის, ვინ კალობისა, ვინ ქა-

დაგებისა და სხვა. რასაკვირველია, აქაც ლეგენდარული ხასიათია შეტანილი ზოგიერთ ცნობებში, მაგრამ ეს ლეგენდები ავტორს არ შეუთხზავს, არამედ ხალხისაგან აქვს გაგონილი, და ეს ლეგენდები ხშირათ კარგათ ახასიათებენ მოღვაწეებს და ხალხის შეხედულობას და აზრს მათზე. ამწუხაროთ სტატიაში არ ისენიება არც ავტორი, არც დრო ამ საინტერესო შრომის დაწერისა. ამიტომ სხვა არა დაგვრჩენია რა, უნდა ვეცადოთ სტატიის შინაარსის მიხედვით დაახლოვებით მაინც გამოგარკვიოთ დრო დაწერისა და ვინაობა ავტორისა. დაწერის დროს გამოსარკვევათ საკმაოა აღვნიშნოთ, რომ სტატიის მიხედვით ცოცხალი არის ანტონ II კათოლიკოსი, რომელიც, როგორც ვიცით, კალაიტვალა ნიჟნი-ნოვგოროდში 1827 წელს. ამ საბუთით სტატია დაწერილი უნდა იყოს 1827 წლამდის. მეორეს მხრით სტატიიდან სჩანს, რომ დოსითეოს ქუთათელი წერეთელი დასჯილია რუსის მთავრობის მიერ, ესე იგი გაგზავნილი რუსეთს და გარდაცვლილი გზაში (გვ. 54), ხოლო ეს მოხდა 1820 წელს 8 მარტს, დოსითეოსი დამარხეს ანანურში. ამის მიხედვით სტატია არ შეიძლებოდა დაწერილიყო 1820 წლამდის ამგვარათ სტატიის დაწერა უნდა მომხდარიყოს 1820—1827 წლების შუა. ეს დრო კიდევ შეიძლება შემოკლდეს, რადგანაც სტატიიდგან სჩანს, რომ ხონის ეპისკოპოსი ანტონი ჯიჯავაძე ჯერ კიდევ ცოცხალია (გვ. 54), ხოლო ანტონი გადაიცვალა 1822 წელს. ვარლამ ქსნის ერისთავი, პირველ ექსარხოსათ ნამყოფი, როგორც სჩანს, ცხოვრობს პეტერბურგში (გვ. 32), ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ვარლამი 1825 წლამდის ცხოვრობდა პეტერბურგში და იყო სინოდის წევრად, ხოლო შემდეგ გადავიდა მოსკოვში დანიელოვის მონასტერში, ამის მიხედვით შრომის დაწერა შეგვიძლია დავსდვათ 1822—1825 წლების შუა.

სტატიის დაწერა ავტორს შეკვეთილი უნდა ჰქონდეს რომელიმე რუსის სამართველოს წარჩინებული პირისაგან, ანუ წარმომადგენელისაგან, ანუ უმაღლესი დაწესებულებისაგან. ამით აიხსნება ხშირი მიმართვა ავტორისა: „ბრძანებითა თქვენითა მოწოდებული ჰსცხოვრობს აწ მოსკოვსა შინა“ (დოსითეოს ფიცხელაური, გვ. 49), „თქვენ მიერ მიიღო არხიერობაჲ კავკასიის მთისა“ (ibid); „თქუენ

მიერ ექსტორია იქმნა და მოუვანებული რუსიად“ (ანტონი II კათოლიკოზი, გვ. 31); „და აწ არს აქა თქუენთანა“ (ვარლაამ ეპისკოპოზი, პირველი ექსარხოსი, ქსნის ერისთავი). „და წისქვილნი, რომელიცა განუყიდა თეოფილაქტემ (ექსარხოსმან), თქუენგან დადგინებულმან“ (ეფთვიმი წინამძღვარსა, გვ. 37); „და პატივიცა მიიღო თქვენგან (იოანე წილკნელ ეპისკოპოზმან); „და აწ თქვენგან განწესებულია კახეთს სკოლასა შინა მოძღვრად (ზაქარია ლალიხანაშვილი, გვ. 43); „რომელიცა აწ თქვენგან დადგინებულ არს მოძღვრად სკოლასა შინა ქართველთასა“ (იასტოს ერასტიშვილი, გვ. 41); „და ესრეთ აწცა შრომასა შინა არს, ვითარცა თქუენცა უწყით საქმენი მისნი“ (გაიოს თაყაშვილი, გვ. 31).

ყველა ეს ადგილები ცხადათ მოწმობენ, რომ ავტორი მიმართავს რომელსამე უმაღლეს წარმომადგენელს რუსის მთავრობისას, ან რომელსამე უმაღლეს დაწესებულებასა. მართალია, ექსარხოსის დანიშვნა და სხვა მოხელეების განწესება იმპერატორის სახელით ხდებოდა, მაგრამ რომ ავტორს თვით იმპერატორი უყვდეს სახეში, ერთხელ მაინც მოიხსენიებდა თავის ტიტულით, ამიტომ უფრო სარწმუნოთ მიგვაჩნია და ჩვენ გვგონია, რომ ცნობების შეკრება ქართველ მოღვაწეების შესახებ ავტორისთვის უნდა მიენდოს, ან სინოდს, ან სინოდის წარმომადგენელს, თავჯდომარეს ან ობერ-პროკურორს. ასეთი მოსაზრება მით უფრო მისაღებია, რომ ფრაზები „თქვენ მიერ განწესებული“, „თქვენგან დადგინებული“, „თქვენ მიერ ექსტორია ქმნილი“ და სხვა ეხებიან მარტო სამღვდელო პირებს, რომელნიც სინოდის განკარგულებაში იყვნენ.

ავტორი ჩვენი სტატიისა ასე თუ ისე დამოუკიდებული კაცია, ის გაბედულათ და თამამათ ამბობს, რომ ანტონ II კათალიკოსი, დოსიოეოს ფიცხელაური, დოსითეოს ქუთათელი, გელათელი ევფთვიმე, გურიის ერისთვის ძე, და სხვები, ყოველად ღირსნი მოღვაწენი, უსამართლოთ და უდანაშაულოდ არიან დასჯილნი მთავრობის მიერ, რომ მთავარ-მართებელი რტიშჩევი მოქრთამე და განუძღომელი კაცი იყო, რომ თეოფილაქტე ექსარხოსი უსამართლოთ მოქმედებდა და სხვა. ავტორი ამას კარგა, როგორც ეტყობა სტატიის დაწერის დროს სტეფანოწმინდაში; ის განყოფილებუ-

ლი კაცია ქართულს მწერლობაში, მაგრამ ცხადათ ეტყობა გავლენა ახლად შეთვისებულის რუსული ენისა: ავტორი ხშირათ ხმარობს რუსულ ტერმინებს. ვინ უნდა იყოს ეს პირი? ჩვენის აზრით, ეს თეიმურაზ ბატონიშვილია, მეფის გიორგი მეთორმეტის ძე. ეს იყო იმ ჟამად საუკეთესო მცოდნე ჩვენი წარსულისა, ის იცნობდა და თანამედროვე იყო მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის მოდგაწეებისა, ის კარგათ იცნობდა როგორც ქართულ-კახეთის წარჩინებულ პირთა, ისე იმერეთისას. და ამ ჟამად მას შეთვისებული ჰქონდა რუსული სწავლაც და თავის შრომებში ხშირად ხმარობდა რუსულ ტერმინებს. როდესაც დავით რექტორზე გვაძლევს ცნობებს, ავტორი ამბობს: „მეცა ვიყავ მასთან რიცხვთა შორის მოწაფეთასა“ (გვ. 32), ჩვენ ვიცით, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის მასწავლებლათ მართლა დავით რექტორი იყო. უკანასკნელ პარაგრაფში ჩვენი სტატიისა ჩამოთვლილია მწერალი ბატონიშვილები და თეიმურაზი გამოტოვებულია. არა ვიცი, სხვა რომ იყოს ავტორი სტატიისა, თეიმურაზი არ მოეხსენებია მწერალ ბატონიშვილების რიცხვთა შორის. ავტორი ჩვენი სტატიისა არ არის კმაყოფილი ბატონიშვილის ვახუშტის ისტორიისა, მას კილიანი სიტყვებით იხსენიებს, ბატონიშვილად არ უხმობს, არამედ „ბუშს“ ეძახის („ვახუშტი ბუშისათვის“, გვ. 47) და ამ ტკიცებს, რომ ვახუშტიმ თავის ისტორიაში შურით დაამცირა კახთა მეფეები და აამაღლა ვახტანგ მეექვსის შთამომავლობა. როგორც ვიცით, ასეთი აზრის იყო ვახუშტის და მის ისტორიის შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი. ყველა ზემო მოყვანილ საბუთების მიხედვით, ამ ახლად დასტამბულს საინტერესო „მცირე უწყებას ქართველთა მწერალთათვის“ ჩვენ მივაწერთ თეიმურაზ ბატონიშვილს და მის დაწერის დროთ დავდებთ 1820 — 1827 წლებს.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ. საჯიროა მოინახოს ამ სტატიის დედანი, ვინაიდგან ჩვენი ხელნაწერი ვერ არის რიგიანად გადმოწერილი და შეიძლება კიდეც აკლდეს ან სხვა რიგათ იყოს პარაგრაფები დაწყობილი. ამის საბუთს გვაძლევს შენიშვნები სტატიისა: „წმიდისა ამის ილარიონის კახისა ცხოვრება ზეითაც შოგახსენეთ“ (გვ. 8); „ცხოვრება დიდისა ამისა იოანესი ზემოთაც

მოგახსენეთ“ (9); „დირსი მამა ეგთიმე ათონელი ზემორეც მოგახსენეთ, თუ ვითარ იქმნა მეტნიერ“ (9). არც ერთ შემთხვევაში ამ პირთა შესახებ „ზემოთ“, სხვა ადგილს, სტატიაში მოხსენება არ მოიპოვება. ადვილათ შესაძლებელია, ამ სტატიის დედანი და მისი რუსული თარგმანი დაცული იყოს სინოდის არხივში, ან რომელსამე სხვა არხივში პეტერბურგში ან მოსკოვში.

ე. თაყაიშვილი.

ყანჩაეთის ტყავის სახარება და მისი მინაწერები *).

1808 წელს ზაფხულში ქსნის ხეობაში მოგზაურობის დროს ჩვენ გავშინჯეთ სოფ. ყანჩაეთში ტყავის სახარება, რომელიც ეხლა ინახება სოფლის პატარა ეკლესიაში, სოლო წინეთ ჰკუთნებია ძველ კაბენის მონასტერს ყანჩაეთის მახლობლათ. ეს მონასტერი ეხლა გაუქმებულია და ნელ-ნელა ინგრევა უპატრონობის გამო. სახარება, 24×17 სანტიმეტრი, დაწერილია მშვენიერს ეტრატზედ ნუსხა ხუცურის ხელით ორ სვეტად. თითოეულს სვეტში 23 სტრიქონია. ყდა ხისა აქვს ტყავ გადაკრული. ტყავს ზემოთ წინეთ მიჭედილი ჰქონებია ქანდაკებიანი ვერცხლის ფურცლები, როგორც ეს ტბეთის სახარებას აქვს, მაგრამ ეხლა ეს ვერცხლის შესამოსელი ანუ ყდების ვერცხლიანი ზედა პირები აღარ არის, დარჩენილია მხოლოდ აქა-იქ ვერცხლის პატარა ლურსმები, რომლებითაც ქანდაკებიანი ხელოვნური ვერცხლის ფურცლები ეოფილა დამაგრებული. სათაურები ნაწერია წითელის მელნით, ტექსტი შავით. ფურცლების სათვალავი რვეულებზეა ნაჩვენები ასო მთავრულებით. სულ 31 რვეულია, თითო რვეულში რვა ფურცელია. მთელ წიგნში 259 ფურცელი არის. ხელნაწერი შემკობილია ოთხთავე მახარობელის ფერადიანი და კარგი ნახელავი სურათებით, რომელნიც ჩვენ ფოტოგრაფიით გადმოვიღებიეთ. წარწერები სურათებს, ესე იგი მახარობლების სახელები, ბერძნული აქვს. სახარება იწყება ევსების წერილით კვიპრიანესთან. ყველა სახარებას წინ მიუძღვის ნუსხა თავებისა, შემდეგ მახარებელის სურათი და შემდეგ სახარების ტექსტი. ბოლოს დართული აქვს მშვენიერად შედგენილი: „ზანდუკი სახარებისა, საძიებელისაჲ და საწელიწადოჲ“ (ფურც. 243—259). ეს ზანდუკი

*) ცნობები ამ სახარების შესახებ მოყვანილი აქვს თ. ჟორდანიას (ქრონიკები, II, გვ. 172), მაგრამ მინაწერებიდან სამიოდე აღუნიშნავს და ზოგ შემთხვევაში იგიც შეცდომებით.

და საძიებელი სხვა ხელით არის ნაწერი, ვინემ ტექსტი. როდის არის სახარება დაწერილი არა სჩანს, ხოლო ხელის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწერილია არა უადრეს მე-XII საუკუნისა და არა უგვიანეს მე-XIII-სა, ასე რომ სახარება მე-XII—XIII საუკუნისაა. საძიებელის ბოლოს დაცულია ძველი მხედრული მინაწერი, როგორც საფიქრებელია, მე-XIII საუკუნისა:

:ქ: ოთხთავი: ესე წ^ დი კანმანათლ-
ებელი: ადამის ტომთაი:მე ბასილი:
:ს: მ^ სმან: შეგმოსე და მოგჯედეც:
ლცვა უგ^ თ ჩემთ^ ს: დ^ ისათუინ:-

„:ს: მს^ მან:“ უნდა ნიშნავდეს „ეფხაზეთის მთავარ-ეპისკოპოსმან,“ როგორც შენიშნული აქვს თ. ჟორდანიას (ქრონიკები II, გვ. 172). ეს წარწერა ჩვენ ფოტოგრაფიის საშველებით გადმოგიდეთ.

უველა თავისუფალი ფურცლები სახარებისა და ხშირად არშიებიც სავსეა სხვა და სხვა მინაწერებით. ვისაც რა შეუწირავს კაბენაის ეკლესიისათვის, უველა აქ დაუწერია, ასე რომ ეს მინაწერები კაბენის ეკლესიის გუჯართა კრებულია. ჩვენ მოგვაქვს ეს გუჯრები შეძლებისამებრ ქრონოლოგიური რიგით, მართალ წერას ვიცავთ დედნისას და აგრეთვე უმეტეს შემთხვევაში ნიშნებსაც.

1. პირველი ფურცლის მეორე გვერდზე ხუცური მე-XV—XVI საუკუნის ხელით:

სხალთ მწმის და ძის და სჯი: წ^ ს შუმადგლომაბთ: ხტის ორგსისთ და: გსმანსა დთ მაშობჯსთ: ესე დაწრდ: მოგაკსნ: თქენ. ბტრონთა: შადდელთ და მოძღრთ და კრბულთ: კაბნის ვინებთ მე ბიდქნ: ათრს ძემა: მას ყმას ოდეს უნჩელ. ხარასნს: აწოიეს და მეჯდრ: და თქენ ჯაჯ: მუზრდჯგდვ: შმგეხწე: მიბოძეთ და მოგეიდ. ვნაკი: ოგომურჯ^ სა: თავს: მიწა ბურკულას: ძისკნ: ნსეიდი: მაქონდა აწ გიბდნიერთს: დ^ თ თქ^ ნ მონასტრსა: კრბულთა: რომელი აწ ხართ: და შმდგმად მოომავდ: ხრთ ვერნ: შგცვლოს ვ^ რ ბატრონმა და ვრც ჩმის გარს კცმა ამა: და რომე მეც ნსეიდა და მაქონდა. აწ ვნც რა შგცვლოს ჭრსხვს მა: ხტი ორ^ გსის და გესმანს: დომშობდი: დამამტკცბდნ: დთმა აკურთხნეს: ამისნი: მოწ-

შენი. არიან: ანთრას: ძჩ გრმიშ: და პეტრეს: ძე: ჩიტა კსბურს ძე: ინონა: მე ჭოდდას: ძესა იოსათს დამაიწრდა. და მოწამეცა ვრ.

შეუმოკლებლად ეს წერილი ასე უნდა წავიკითხოთ:

სახელითა მამისა და ძისა და სულისს წმიდისა, შუამდგომლობითა ხატისა ოროვსისათა (ორაისისათა) და კესიმანიისა ღმრთის მშობლისათა, ესე დაწერილი მოგახსენე თქვენ პატრონთა მღვდელთა და მოძღვართა და კრებულთა კაბენისა; ვინებეთ მე ბილქან ათარის ძემა (ოთარის ძემა ?) მას ყამსა, ოდეს უანჩელ ხარასანს (ხორასანს) აწვიეს, დამეჭირა და თქვენ ჯაჭვ-მუზარადი გდევ (=დაგდევ), შემოგეხვეწე. მიბოძეთ, და მოგუიდე ფენაკი ოგომურისა ოავსა. მიწა ბურკულას ძისაგან ნასყიდი მქონდა. აწ გიბედნიერონ ღმერთმან თქვენ მონასტერისა კრებულთა, რომელი აწ ხართ და შემდგომად მომავალი ხართ. ვერავინ შეგიცვალოს, ვერ პატრონმა და ვერც ჩემის გვარის კაცმა, ამად რომე მეც ნასყიდი მქონდა. აწ ვინც რა შეგიცვალოს, ჭრისხვს მას ხატი ოროვსისა (ორაისისა) და კესიმანიის ღმრთის მშობელი, დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს. ამისნი მოწმენი არიან ანთრას ძე გერმიშ (ანუ გურმიშ) და პეტრეს ძე ჩიტა კასბურის ძე ინონა. მე ჭოდთას ძესა ოთნათს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

2. მეორე ფურცლის პირველ გვერდზე მხედრულის ხელით მე-XV—XVI საუკუნისა:

ქ: სახელითა: სამშჩაოობიერითა: ღმრთა: მეოხებითა: ეოვლად: წმიდისა: ღმთის: მშობელისაითა: მეოხებითა; და თავსდებობითა: ულოა: წმიდათაითა: რნი: საუკუნიოგან: სათნო: ეფუნენ: უფალსა: ჩენსა: იესოს: ქრისტესა: დაგიწერთ: დაწერილი: ესე: მე. მიქელ ასშვილმა: ბიბიანმა: და ჩემმა: მეუღლემა: როსოდან: და ჩემმა: შვილმა: ათთარმა: დავდეკით: ჭულოშვდთა: ვენაკი: მშიდა ძისაგან: ნასყიდი: სარგისისგან: და დათიანისგან: ეოვლისა: კაცისა: მოუდეკარი: ჩენისა: სოდისა: სამდოცვედოდ: მოგვესე

ნეთ: მონასტერსა: და კრებოლსა: და: შეგიკეთეს: ადაბი: დღესა ნიკოლოზობასა: რაისადენიცა: მწირველი: იოს: თ ო მ ა ს დ ღ ე-ს ა: ვერ წირვიდეს: მეორესა: დღესა: წირვიდეს: და ვინც: ესე: დააკლოს: დამცაკდღების: [სჯ]ულსა: ქრისტიანეთასა:- ვინ გაგი-თაოს: ღნ:- აკურთხოს:-

3. მეორე ფურცლის მეორე გვერდზე იმავე ხელით:

ქ: სახელითა: სამნათობიერისა: დთისაითა: მეოხებითა: ეო-ლაწმიდისა: დმთის: მშობელისაითა· მეოხებითა: და თავსდებობი-თა: ეოველთა: წმიდაითა: რვმეღნი: საუკუნითგან: სათნო: ეუუნეს: უფალსა ჩენსა: იესოს: ქრისტესა: დაგიწერეთ: ესე. დაწერილი: ჩენ: მ ი ქ ე ლ ი ს შ ვ ი ლ მ ა: ბ ა ს ი ლ მ ა: და: ბ ი ბ ი ა ნ მ ა: და: ნ ი-კ ო ლ ა ო ზ: და: გ ი ო რ გ ი: ვიეიდეთ: ა ს ლ ა ს ძ ი ს ა გ ა ნ. ვენაგი ალალითა ჩვენითა: საქონელითა: მას: ჟამსა: შიგა: ოდეს: დედა-მამაი: შვილსა: ჰეიდა: გავიკეთეთ: საბაობასა: დღესა: ადაბი: ოთხთავე: ძმათა: ჩენისა: სოლისათი: რაიზომიცა: ხოცესი: იეს: ჩენთის: შეიმოსებოდეს: მონასტერსა: შიგა: და თო მას: დღე-სა: ვერ წირვიდეს: მეორესა: დღესა: წირვიდეს: და ვინ-ცა: დააკლოს ჩენთამცა: ცოდვათათის: გაიკითხვის: ვინცა: ესე: ჩენი: გაჩენილი: შეგიცვალოს: შემცა: იცვალების: სჯულისაგან: ქრისტიანეთაისა: და: ნესტოს: და ორიგინესმცა: თანა არის: სამ-კიდრებელი: სოლისა: მისისაი: და ვინცა სროდ: ქმნას: დმერთ-მან: აკურთხოს: და თუ ვინ: ჩენისა: გარისაი: იეოს:- თანა: და-კიხდებოდეს: მე: ჭოლლაის (ჭოლლაის?) ძესა: ლოკას: დამიწერია: ვინცა: შენდობასა: ეოფდეთ: ღნ: შეგინდვნ:- ვითა: ამას: წიგნსა: შიგა: სწერია: ასრე მკვიდრად: მოგიკსენებია:-

4. მეოთხე ფურცელზე ხეცურათ მე-XVI საუკუნის ხელით:

ეჭვ დლი სჯურველთა. წოროჲ ცხოერებისა. და იქნებების მკურ-ნალად. და იქმნების ალწევნულ. კიბე. სამოოთა. იხრებდინ ტძარო. ფიხ მშობლისაო ბესმანიაო. ღღ ვეოთ მორწმუნენო ბანრილ. წესთ მთვრისა თა და ვიტეოდეთ: „ბნ სახარულევნო

ოჰ შᲔნ თჳ. რჰ მოსცემს სᲔფელსა შᲔნ მჩ დიდსა წუᲔლობჲსა:

ნებითა და შეწევნითა ღჳისთა და უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღჳს მშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისითა. ესე უკუნისამდე ჟამთა გასათევებელი (sic), მცირე შესაწირავი შემოგწირეთ ჩუენ ძემან ქუᲩნიფნევლისამან, ერისთავთა ერისოავმან ᲮᲢრონმან იასე და თანა მეცხედრემან ჩუენმან ᲮᲢრონმან როდამ და ძეთა ჩუენთა ლარგუᲩლმან და ქუᲩნიფნეველმან ცოდვათა ჩუენთა შესანდობლად და ძეთა ჩუენთა სადღეგძელოდ. ჩუენთა ᲮᲮᲮთაგან სასოებითა აღშენებულსა კაბენს გესმნიისა ღჳს მშობელსა კაბენს ჯირღინაულის მამული კუამდი ერთი თევდორა [1]) მთითა, ბარითა, წულითა, წისქულითა და სასახლვითა და სეფეობითა, ასრე რომე ჩუენგან არა სათხოვარი და არა გამოსადები არა გეთხოვებოდეს რა დაშქარ ნადირობის მეტი. ვინცა და რამანცა კაცმან ამა ჩუენგან შეწირულსა კელ Ჭეოს შლად ან მეფემან ან დედუფალმან, ან ჩუენის გუარის კაცმან, ან ᲮᲢრონობითა, ან კელოსნობითა, რისხვასმცა წმიდაჲ ღმრთის მშობელი გესᲔმანისა და ეოველნი წმიდანი ღჳსანი ზეცისანი და ქუეყნისანი. გამთავებელნი ღმერთმან აკურთხნეს. *

5. მეშვიდე ფურცელზე მხედრულის ხელით მე-XVII საუკუნისა:

ქ:- ნებითა:- არსებად:- და:- უსაბამოსა:- და:- უსრულებელისა:- მდთისა: მამა:- მისა:- ძისა: სულისა:- წამიდისათ: მინადობითა:- და:- შუამდგომლობით:- ეოველად: წამდისა: მდთის მაშობელისათა: მარდის:- ქალწულისა:- მარიამისათა: თვაესა:- მდებობითა:- და:- მოწამობითა:- და: შუამდგომლობით:- ასრე: რომ: მოგაეიდე:- მე: ᲮᲐᲮუნიმ: მარკოზა: შვილმა: ჩემი: აღალი:- ნასეიდი: მამული: ჭალისა: ვენაკი. გაძბულთა კრას (კარსა):- მიწა:- შენა: მახარებლის: შვილასა: დემეტრეს: ჯორმელი: შვილასა: ბასილასა: ძაბლაშვილასა: შიოსა: სომინა-

---

[1]) ეს სიტყვა ზემოთ დაწერილია სხვა მელნით.

*) წაწერა ბეჭდისა გადასულია.

შ ვ ი დ ს:- გ ი ო რ გ ი ს ს:- ვ ა შ ა ბ ა ძ ე ს ს:- ბ ა ვ ლ ე ს ს:- ასრე:-
რომე:- მოგიცია:ათ: ფასი: სრული რასაცა:- ჩემი:- გული:- შაგაჯრ
დებოდა: ნახევარი: ფასი:- მოგიცია:- ნახევარზედა: ჩემსა: სულისა:
საადგილოდა:- დამიდვია:- ამადლებასა:- დღესა:- ერთი:- ცხვარი:- დამიკა-
ლია:- ერთი მღდელი: შამიმოსეთა: ამისა:- ბოლო:- ზემოთა:- წე-
რია. (ზემოთ ბოლო სწერია მე-4 ფურცელზე იმავე ხელით) ესენი:-
ამისნი:- დამხდომნი: და:- შუამდგომელნი: თვნიერ: ღმერთი: და:
გესმანისა: მღთისა:- მშობელი:- კაცთაგან:- ერთობილნი:- უანჩელნი:-
ვინაცა:- და:- რამანცა:- კაცმან: ანუ: დიდმან: ანუ: მცირემანა: ანუ:
რჯულანამა: ან ურჯულომანა:- შემცა:- იცვლების:- რჯულისა:- მისის
ქარისტანეთსა:- აქმაც შეცლება:- მასა ღღესა: განკითხვისასა: ვინაცა:
ესე: წიგნი: გატეხოსა: შაშალოსა: მასამცა:- რისხვასა:- ღმერთი:
და:- ეოველნი: მისანი: წამიდანი: ზეციერნი: და:- ქვეუნერნი:- მე:
გ ე ლ ე ვ ა ნ ს ს:- დამიწერია:- და: მოწამეც:- ვარ +.

6. მე 119—120 ფურცლებზე ხეცურათ ეე XVI—XVII საუკუნის ხელით:

წ:- სახელითა დაუსაბამოსა ღმერთისათა, მამისა ძისა და სულისა
წმესათა, მეოხებითა ეოველად წმესა დედოფლისა ჩ^ენისა ღმერ მშო-
ბელისა და მარადის ქალწულის მარიამისითა, ძალიერებითა ბატიო-
სნისა და ცხოველს მყოფელისა ჯუარისადთა, წმიდათა ზეცისა ძალ-
თა ანგელოზთა და მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისითა
და ცხრათავე დასთა ანგელოზთა, წმიდისა და დიდებულისა წინას-
წარ მეტყველისა წინა მორბელისა და ნათლის მცემელისა იოანესი-
თა, იოანე ღმერ მეტყველისა და იოანე მახარობელისადთა, წმა და
ე^ დ ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრე და პავლესითა, თავსმდე-
ბობითა, მინდობითა, წყალობითა და შუამდგომლობითა ეოველად
წმესა ღმერ მშობელისა გესმანისათა და ხატისა ორანისათა, ამა
ოთხთავისა მადლითა და ამა ეოველთა ამა წიგნსა შინა წერილთა
წმიდათა მადლითა და თავსმდებობითა, ესე უკე ყამთა გასათავებე-
ლი წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩ^ნ რ ა ტ ი ს შ ვ ი ლ მ ა ნ
ი ო ა ნ ე (ი^ე) და ჩ^ნმან მეუფლემან ს ი ნ დ უ ხ ტ ი თ ქ ვ ე ნ მ ა ზ-
მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ თ ა ტ ა ტ ი ს ა და შენთა შვილთა დ ე მ ე ო რ ა ს ა, ქა-

მალასა და მარქარსა, ასრე და ამა ბირსა ზედა, როდეს უშვილობნი დავრჩით და ერისთავის ერასტისაგან მამული და სასახლე ვიყიდე, სახლკარი და ჭურმარანი იშხანასშვილის დავით'ის ეული და ვენაკი ენდრონიკას ეული და ამას არ დავსჯერდით და ორი საქულბაქე კიდევე მიბოძა. მიგვეც ამისთჳს ერასტის ერისთავსა ერთი გულის ბირი თუალ მარგალიტიანი, ერთი მძიმედ ოქრო ქსოვილი ატლასი, ერთი მაშრაბი *) ვერცხლისა. და მამული ესე მიყიდა, კაცი ჩემი მკჯდრი უმა არის· შევწირე და მოვაკსენე გესამანისა დბის მშობელსა სულისა ჩ˜ნისა საღოცველად და დავსდევით ორი ლიტრა სანთელი და ერთი ჩარექი სამწმული, სხვად არა გეთხოვებოდეს რად არცა ერისთავისაგან და არცა ჩ˜ვენისა სახლის კაცისაგან და ვინცა ესე ჩუენგან მოცემული წიგნი შეგიცვალოს და ანუ ხატისა სანთელ საკმელი მოგაშლევინოს, შემცა იცვლების რჯულისაგან ქჳანეთასა, რისხვასმცა ღმერთი და გესამანისა დბის მშობელი და ამა ოთხთავსა შინა აღწერილნი წ˜ნი დი˜სნი, ამინ.

7. მე-188 ფურცლის მეორე გვერდზე ხეცურათ მე XVII—XVIII საუკუნის ხელით:

სახელითა ღბისთა და ამა ოთხთავსა შინა აღწერილთა წმა მადლითათა, ესე წიგნი მოგაკსენეთ ჩუენ რატისშვილმან სეფედავლე და ჩემთა შვილთა ბაინდურ და შალვა ეოვლად წმიდა ღბის მშობელსა გესამანისასა, ასრე რომე შემოგწირეთ მიწაჲ ასათურის ნაცვალი ასანას კ ევს გამოღმათ ზგას ქუ˜ბეთი, მიყიდია ჩემითა საქოლნითა (sic). სეფედავლეს და მის მეუღლესა შეუნდოს ღმერთმან; მისთა შვილთა შეუნდნეს ღმერთმან, ბანდურს და შალვას შეუნდნეს ღ˜ნ, ამინ. მათსა მეუღლეთა გულანშარსა და ათრბის შეუნდნეს ღმერთმან:- ვიხც შეგვეცილოს, გესამანის ღბის მმობელო, შენ რისხვადი.

*) მაშრაფა არაბ.—დოსტაქანი.

8. მე-189—190 ფურცლებზე მხედრულის ხელით მე-XVII—XVIII საუკუნისა:

ქ: ნებითა და შეწევნითა მხთისთანნ, მამითა, ძისთა, შუა-დგომლობითა ხატის ორაისისითა გესმანის მხთისთა შობელისთა დაგიწერეთა თაქვენ კრებულთა სელაი ერთა ჰირათა კაშაენელათა, მოგეიდე ერაედას ზავრი (ზვარი) მოუდევრი ჩემი მამული ალალი ნასხიდი (sic). ავიდე ფასი სრული, უწინაც შემოწირული იეო ჩემაგნა გესმანის მახთისა შობლისთვაინ მესეფედუვლევს შვაილმა შანშემა და ჩემ მეულლემა თადუკამა, შავაილმა ჩავენმა რამაზ, გიორგიმა. ვინცა და რამაც კ:ცმა ესე ჩვენი მოსხიდული (sic) მამული შემაოწირული გესმანის მახთის შობელსა შეგიცვლოს, ჯულის ქარისტიანობისგნა შეიცვლოს, რისხვსც მამა ძე და სული წამაიდა, ხატი ორაისის, მერმე გესმანის მახთისშობელი, ცხრნივე დასნი ანგელოზნი, რანიცა წამიდაინი ხატნი გესმანის მახთის შობელში არიან, რანიცა წამაინდანი ამა სვინაქსარსა შინა ადწერილ არიან, რაც ამა ოთხთავსა შიგა ადწერილა არიანა, გამათავებელი ღმერთმან აკურთხოს + + +.

9. უკანასკნელ მე-259 ფურცელზე მხედრულის ხელით მე-XVII—XVIII საუკუნისა:

ქ. სახელითა ღმთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, მოხებითა (sic) ყოველად წმიდისათა ღმთის მაშობლისათა მარადის ქალწულისა მარიამისათა, წმიდათა ზეცისა ძალთა და ანგელოზთა და მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისათა, რანიც წმიდანი ანგელოზნი ამა ოთხთავში წერიან, ამათითა მადლითა და მოხევებითა (sic) დამიდვია მე რატის დავისა შვილასა ნანისა მამული ჩემისა სულისა სასაფლად (sic) და ჩემისა მეულლისა ხურამაზესათუისა და მიმიტემია კაზაურისა დავითასა თავინა ესე წიგნი. კორტიელ შაბათსა ადაბსა იქმოდეს ერთისა ცხურითა და ბატკნითა და ორისა მდრდლითა. თუ ხუცესი ვერა იშოოს, წინამძღვარსა აწირვინოს. ერთი ჩემისა სახლის კაცი სახ-კარსა არა ეთრულოდეს რა ... და სეფობის მეტი

და ძღვნისა მეტი. ვინცა ესე.. აღაბი მოუშალოს ღთისაგანცა და მის წმიდათაგან შეიცვალოს... მისი სული და მისი კორცი + +

10. მე-8—11 ფურცლის არშიებზე მხედრულის ხელით 1703 წლისა:

ქ: ნებითა და შეწევნითა მღთისათა მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა, ოხითა და მეოხებითა ყოვლად წმინდისა უხრწნელისა უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა მღთის მშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისათა, ესე უკუნისამდე ყამთა და ხანთა, საუკუნოდ გასათვებელი, მტკიცე და უცვალებელი, ყოველისა კაცის მოუდევარი და მიზეზ შემოუღებელი ძესაწირი შემოგწირეთ თქვენ, ჩვენს სასოსა და მეოხსა, ყოვლად უხრწნელსა, უბიწოსა და უფროსად კურთხეულსა და შუამდგომელსა ყოველთა ცოდვილთა წინაშე მღთისა, და შხსნელისა წუევისასა და მომატევებელსა კურთხევისასა, ყოველთა ქრისტიანეთა შესაველრებელსა, კაბენის გესმანისა მღთის მშობელსა, ჩვენ მღთისაგან და მადლის კემწიფისაგან სამართლად შეეუარებულმა და მრავალ წყალობა სიკეთე მოვლენილმა მ ე ფ ნ ი ს ბატონმა და პატრონმა ბატონიშვილმა ბატონმა ე რ ე კ ლ ე მ, ძმამ ჩვენმა ბატონმა პ ა პ უ ა მ ა, ძმისწულმა ჩვენმა კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ, ბ ა გ რ ა ტ, ო ტ ი ა მ, ლ ე ვ ა ნ, ძეთა ჩვენთა დ ა ვ ი თ, ჩამოამავალთა სახლისა ჩვენისა ყოველთავე ასე და ამა პირსა ზედა, რომე როდესაც რ ა ტ ი შ ვ ი ლ ე ბ მ ა კაურა მოინდომეს, სახლის კაცობა ვედარ ქნეს და ადარც მოკდა, მოვიდენ და ჩვენ შემოგვეხვეწნენ, რომე კაგვარეთო, მოვედით ქ ს ო ტ ი ს რ ა ტ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს გასაურელად ჩვენ და ჩვენი ძმა მთავარ ეპისკოპოზი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე და ჩვენი ძმისწული კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე, ჩვენი დარბაისელნი გვერც გვახლდნენ, ს ე დ გ ი ნ ი ძ ე ნ ი, რ ა ტ ი შ ვ ი ლ ე ბ ი, ბ უ რ დ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი და ყოველი ჩვენი მსახურ ასნაურშვილი, დავსხედით სამართალშია და ოთხად კავეარეთ, რაგვართაც კაურის წესი და მართებული იყო, იმ წესით ბარათით კავეარეთ რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი ფ ა რ ს ა ლ ა ნ, რ ა ტ ი, ო ტ ი ა და მისი ძმისწულები, გ ი ო რ გ ი შ ვ ი ლ ი ლ ე ვ ა რ ს ა ბ და რ ე ვ ა ზ ოთხი კაიყარნენ, ჩვენთვის ავიღეთ ამათი გასამაურელო ა ხ ა ლ გ ო რ ს

ოთხი კვამლი კაცი. ამ ოთხის კვამლის კაცისაგან ერთი კომლი კაცი დ ე მ ო რ ა, მისი შვილი ბ ე რ ი თავისის მამულითა, თავისი სახლკარითა, შესავლითა და გასავლითა, რისაც მქონებელნი არაან ყოველითურთ უნაკლულოდ, შემოგწირეთ თქვენ, ჩვენს სასოსა და მეოხსა კაბენს გესმანისა მდთის მშობელსა ჩვენთა და ჩვენ თანა-მეცხედერთა ცოდვათა აღსაკოცლად, ბირმშოთა ძეთა ჩვენთა დავითის აღსაზრდელათ, ძეთა და ასულთა ჩვენთა წასამართებლ(ა)თ, ასე ბ(ა)მოგწირეთ, რომე არაფერი კამოსაღები არა ეთხოვებოდეს რა, არა ღალა, არა კულუხი, არა კოდის ბური, არა საბასბინძლო, არა სამოსელი, არა ულაყი, არა ხარჯის გადება, ასე გაგვითარხნებიხარ და ისრე შეგვიწირავს, რომ მზისა და წვიმის მეტი კარს არა მოგადგებოდეს რა, თვინიერ სა(ედრ)ის სამსახური(საგან კიდე), და არცა რა გეთხოვებოდეს, არა სახვენო, არა საკემწიფო, არა საერისთო ბაჟი, არას კაცისაგან არ გეთხოვებოდეს რა. ვინცა და რამანც ჩვენმა სახლის კაცმა, ანუ ხელმწიფემა, ანუ დიდმა, ანუ მცირემა ამისად ძალად და გამოკვებად კელ ეოს, რისხამცა თვით ღმი დაუსაბამო, მამა, ძე და სული წმინდა, გესამანისა მდთის მშობელი და მისი ძე იესო ქრისტე და ყოველნი მისნი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, კორციელნი და უკორცონი, მასმცა ედების ცეცხლი გენისა, კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან-აბრონისა (sic). შეჩვენებულიც იქნება შემცვალებელი ამისი ოთხთა პატრიაქთაგან, ყოველთა მართალ მადიდებელთა მიტრაპოლიტთაგან, მართალ მადიდებელთა ეფისკოპოზთაგან, მღდელ-მოძღვართაგან, მღდელთაგან, მთავარ დიაკონთაგან, ცხრა დასთა ანგელოზთაგან, ყოველთა წინასწარ მეტყველთაგან, მკედარ მოწამეთაგან, ქალწულ მოწამეთაგან; შვიდი შურის ძიება ებელისა, მკვლელ და რვე ფსალმუნი დავითისა მას ზედამც დაესრულების, შეჩვენებულიც იქნების ბირისაგან მდთისა, ამ ოთხთავ მახარებელთაგან. შეიწირე წმინდაო კაბენისა მდთის მშობელო მცირე ესე შესაწირავი ცოდვათა ჩვენთა მოსატევებლად და ძეთა ჩვენთა წარსამართებლათ. ვინ ამისად გამწირვად, ან შლად კელეოს, შერისხდი წმინდაო გესამანის მდთის მშობელო თქვენ და თვით ძე თქვენი იესო ქრისტე; შემცვალებელნი ამისნი ღმერთმან შესცვალნეს, ხოლო დამტკი-

ტებელნი ამისნი დუნ აკურთხეს. დაიწერა შეწირულობა ესე კარისა ჩვენისა დეკანოზის ი ა ს ე ს ი თ ა, გიორგობისთვის ოცსა, ქკს ტჟა.

მონა მღთისა ბატონის შვილ ერეკლეს ებეჭდა	პაპუ *

11. მე-11 ფურცელზე სხვა მხედრულის ხელით 1726 წლისა:

ქ. ჩენ მღთისაგან და. მაღლის კელმწიფისაგან უსვად ზეგარდმო წყალობა მოვლინებულმა და დირსად პატივცემულმა, ძირმოდგმით იესიანმა და ტომობით აწ პაკრატონმა მ უ ხ რ ა ნ ი ს ბ ა ტ ო ნ ი ს, ე რ ე კ ლ ე ს ძ ე მ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა მ ა მ უ კ ა მ, რაგვარადაც კურთხეულს მამა ჩვენს ეს გლეხი თავისის გამოსადებითა შეჰეწირა, ჩვენც ისე ჩვენის ყმის რ ა ტ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ს ა ს ა ფ ლ ა ო ს გესმანის მღთის მშობელისათვის შეგვიწირავს და დაგვიმტკიცებია მამის ჩვენის მოსახსენებლად და ჩვენს გასამარჯვებლად და სადღეგრძელოთ, რამანც მუხრანის ბატონმა და ან რატიშვილმა ამისად ზღად ბელ ეოს და გამოსწიროს, ნუმცა იხსნება პორტი მისი აქ შერცხვენისაგან და სული მისი სიქიოს წაწყმენდისაგან, დამამტკიცებელი დუნ აკურთხოს. დაიწერა მკათათვის გასულს ქკს უად. მამუკა მ.მუკა (ხელ ჩართულად).

12. მე-75 ფურცელზე მხედრულის ხელით 1705 წლისა:

ნებითა ღვთისათა მე მ.ჯინიბეთ უხუცესმა რ ა ტ ი შ ვ ი ლ მ ა ზ უ რ ა ბ შემოგწირე გესამანისა დუნის მშობელს ჩემი მკვიდრი ყმანი კ ა ბ ე ნ ს მოსახლენი პავლეშვილი შ ი ო, ძ ა ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ბერი, ქურციკაშვილი ი ვ ა ნ ე თავეთის მამულითა, ყოველს თავის ბეგარასა და კულუხსა უკლებლად ეკლესიასა მიართმევდენ, ვერა რატიშვილი ამას ვერ იმსახურებდეს ერთის ძღვნის მეტს. ამათ დავადევით ერთი ლიტრა სახთელი, ერთი ჩარექი საკმელი, ერთი თუნგი ზეთი წელიწადშია, ვინც გამოსწიროს, რისხვას დუნ და მისი მშობელი, ამინ. დაიწერა იანვრის ათსა ქკს ტჟგ. მე რატიშვილი ოთარი ამ ჩემის ძმის შეწირვის �bული მაქ. + + + +

*) სრულად წარწერა არ იკითხება.

13. მე-73 ფურცელზე მხედრულის ხელით 1804 წლისა. ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ:

ნებითა და შეწევნითა დ(ა)ისათა და ყოველთა წმინდათა მისთათა, სასოჩსა და მეოხსა ყოველთა ქრისტიანეთასა დ(ა)ის მშობელსა მარიამს ბესიმანიისასა უძღვნი მტირესა ძღვენსა მე მოხა მისი თავადი გაბრიელ რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ასე რომ კ ა ს ა ბ უ რ ი ეკეკლესიის უშანი არიან და უმამულოდ ყოფილან თ ე ლ ო ვ ა ნ ს და ზ უ რ ა ბ ბიძა ჩემს ერთი ვენახი მიუცია და იმისი გამოსავლიდამ ჩვენ კულუხი აგვიღია. რადგან დღეს ადარც ვენახად იყო და ის კ ა ს ა ბ უ რ ე ბ ი ც უმამულო იყვნენ და ხატის უმები, მე ვიგულსმოდგინე და ის ნავენახობი ორის დღისა თელოვანს შემოგწირე მოსახსენებელად ბიძის ჩემის ზ უ რ ა ბ ი ს, მამისა ჩემისა ბ ე ჟ ა ნ ი ს ა და დედისა ჩემისა ა ნ ნ ა ს თ ჯ ს და საღდეგძელოდ ძეთა ჩემთა და რათა მეცა მეოხ მეყო დღესა განკითხვისასა, წელსა ჩუდ. ქ(ა)ს უჟბ, მეფობასა როსიისასა ალექსანდრეს ბავლეს ძისასა. როდესაც მოხნავდენ, იმის ღ(ა)ლს უკლებლად მოგართმევდენ ეს კ ა ს ა ბ ურ ე ბ ი. მე მ ა ი ო რ ი გ ა ბ რ ი ე ლ რ ა ტ ი ს ძე თ ჯ ო ბ ე ლ ი თ ა ჩ ე მ ი თ ა ვ წ ე რ. რ ა ტ ი ე ვ ი (ჩართულად)

14. მე-116 118 ფურცელზე მხედრულის ხელით 1814 წლისა:

ქ. რაც კაბენს მამული აქვს შეწირული სულ ამას ქვევით სწერია, ან ვისაც უჭირავს და ან რამდენის დღისა არის.

ქ. ერ ე დ ა ს ვენახი. ქ. ბახუანთ წინ ერთი დღისა ნავენახობი, ამას მაგიერი მღვდელს უჭირავს, მათეს ვენახის გვერდზე, გაუცვლია სხვაზედა.

ქ. ბ ა ხ უ ა ნ თ ბ ა ღ ე ბ ს ზ ე ვ ი თ ერ თ ი დ ღ ი ს მ ი წ ა ო თ ა რ ა ს ბ ი ჯ ს უ ჭ ი რ ა ვ ს.

ქ. ბ უ ღ ლ ა თ კ ა რ ს ერ თ ი დ ღ ი ს ა გ ო რ თ ა მ ა შ ვ ი ლ ს უ ჭ ი რ ა ვ ს

ქ. ს ა რ უ კ ა ა ნ თ კ ა რ ს გ ო გ ი ა ჯ ა რ მ ე ლ ი შ ვ ი ლ ს უ ჭ ი რ ა ვ ს ერ თ ი დ ღ ი ს ა. ქ. მ ა თ ე ს ვ ე ნ ა ხ ი ს გ ვ ე რ დ ზ ე გ ო გ ი ა ჯ ა რ მ ე ლ ი შ ვ ი ლ ს უ ჭ ი რ ა ვ ს დ ღ ი უ რ ი ა. ქ. ხ ე ხ ი ლ ს (ზ ე ზ ი ლ ს?) ვ ე ნ ა ხ ი ს გ ვ ე რ დ ზ ე ერ თ ი დ ღ ი უ რ ი ო თ ა რ ა ს ბ ი ჯ ს უ ჭ ი რ ა ვ ს.

ქ. ხუხუტს ვენახის თავზე სამი დღის მიწა მათეს უჭირავს.

ქ. ამ ხუხუტს ვენახს აძევს სამი კოკა ტკბილი.

ქ. ვეძას ქედზე ორი დღის შასა[1]) და ხეხილს უჭირავს.

ქ. ერთი დღისა მღდელს უჭირავს მათეს წისქვილის გამოდმა, პავლეშვილის მიწა არის.

ქ. აქა ერთი დღიური თევდორეს ბიჭს უჭირავს.

ქ. გოგიას ბალს ზემოთ ოთარას ბიჭს უჭირავს ნახევარ დღიური.

ქ. ასანაანთ კევში[2]) ხეხილს უჭირავს ერთი დღისა.

ქ. კაბენს პავლეშვილის მიწა გოგია ჯარმელიშვილს უჭირავს ორი დღის.

ქ. ჯიღნაანთ კარი საკომლო არის ლუა ტატუნაშვილს და მის ძმას დათუასა აქვს.

ქ. თეზიაშვილის მიწის პირზედ ერთი დღის ნავენახობი მღვდელს უჭირავს.

ქ. მეიდანი და გარშემო სრულად მღვდელს უჭირავს.

ქ. კიდევ მღდელს უჭირავს შეუქლის სპილენძაურის[3]) თავზედ დღიური.

ქ. ვაზირაულში ორი დღისა. ქელიანდ[4]) ქედზე გლახა გოგაძეს უჭირავს ერთი დღისა.

ქ. ამასთან გზას ქვეგით შეუქლის მიწის თავზე ლუას უჭირავს დღიური.

ქ. უუდრევისაკენ მიწა ახო[5]) გოგია ჯარმელიშვილს უჭირავს, დღიურია.

---

[1]) შეიძლება ამ სიტყვაში იგულისხმებოდეს „ფშანი"—ჭაობნარი.

[2]) ასანაანთ ხევი შით ყანჩაეთის სოფელს ჩამოუდის.

[3]) სპილენძაურის ხევი ყანჩაეთის დასავლეთით არის.

[4]) ეხლა ქვია გელიანთ ქედი.

[5]) ახლად გაჩეხილი ტყე, სადაც პირველად მოხნავენ.

ჭ. ზახორს კარებანთ კარს ერთი დდიური, რასაც კალოს ჴირი ჩამოიტანს.

ქ. წირს ქინგვაძის მიწებს აქეთ გზას ქვევით კევისაკენ დდიური ორი არის.

ქ. კასბურებს უჭირავთ ორი დდისა ნავენახობი თელოვანს შარათხანებშია.

ქ. ეს ნუსხა მდვდლის თანადასწრებით და სოფლის კაცთ ჭკითხვით დაგსწერეთ, რომ ეკლესიას არ დაეკარგოს მამული მე კაბრიელ რატიევმა, ჩემა ბიძაშვილმა სოლომან და დავითმა წელსა ჩუიდ. ვინც მოხნას ალალ უკლებლად ეკლესიას უნდა მოართოს, და ვინც მოპაროს, გაუწერეს ღმის მშობელი და ძე მისი იესო ქრისტე, ჴნ, ჴნ.

ქ. დემურაანთ აძევს ორი ლიტრა სანთელი და ერთი ჩარექი საკმელი ყოველს წელიწადსა.

სარჩევი

I

მტირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს

		გვ.
1.	მეფე დავით აღმაშენებელისათვის	1
2.	იოანე კათოლიკოზისათვის	3
3.	მამა არსენი კათოლიკოზისათვის	4
4.	ნიკოლაოზ კათოლიკოზისათვის	—
5.	იოანე კათოლიკოზისათვის	—
6.	მეორე არსენი კათოლიკოზისათვის, რომელი იყო ბულამის ძე.	—
7.	მეორე ნიკოლაოზ კათოლიკოზისათვის	5
8.	მესამე ნიკოლაოზი კათოლიკოზისა, ლეონ მეფის ძმის ბაგრატიონისათვის	—
9.	ბესარიონ კათოლიკოზისათვის, მეფის ლეონის ძის ბაგრატიონისა	—
10.	მამა დომენტი კათოლიკოზისათვის	6
11.	მამა არსენი ეპისკოპოზისათვის	—
12.	იოანე ბოლნელისათვის	—
13.	ანტონი ჭყოინდლისათვის გარესჯელისა	7
14.	იაკობ შემოქმედელის გურიელისათვის	—
15.	იოსებ თბილელისა საკაძისათვის	—
16.	მამა ნიკოლაოზ ეპისკოპოზისათვის	—
17.	ნიკოლაოზ ორბელიანის მოროველ მიტროპოლიტისათვის	8
18.	წმინდა იოანე მანგლელისათვის	—
19.	მამისა ილარიონ კახისათვის	—
20.	მამისა იოანესათვის	9
21.	მამა თორნიკიოზისათვის	—
22.	ევთვიმე ათონელისათვის	—
23.	მამისა იოანე ხახულელისათვის	10
24.	მამა ზაქარიასათვის	—
25.	ღირსი მამა გრიგორისათვის	—
26.	გიორგი ათონელისათვის	11
27.	მამისა ილარიონ თუალელისათვის	—
28.	მამისა არსენისათვის	—

29. ანტონი მნათისათვის 12
30. ვასილ ბაგრატიონისათვის . . . . . —
31. მამისა გიორგისათვის . . . . . —
32. ღირსი მამა გიორგისათვის . . . . . —
33. მამისა იოანე პატრიკ-ყოფილისათვის 13
34 მამა გიორგი ოლთისელისათვის . . . . —
35. მამა სტეფანესათვის . . . . . —
36. მამისა იოანე ფილოსოფოსისა და ზეწოდებით პეტრიწისა ჭიმ-
ჭიმელისათვის 14
37. მამისა ეფრემისათვის . . . . . —
38. მამა თეოფილესათვის 15
39. ღირსი მამისა არსენი იყალთოელისათვის კახისა . . —
40. მამისა ქრისტედულე ოსად წოდებულისათვის . . . 16
41. მამისა იოანე ტაიჭისძისათვის 17
42. მამისა საბა ვარდანის სვინგელოსისათვის . . . —
43. მამისა იეზეკელისათვის 18
44. მამისა პეტრესთვის . . . . . —
45. მამისა იოანე შავთელისათვის . . . . . —
46. მამისა ვასილი ათონელისა, ბიძისა ექვთიმე კათოლიკოზისათვის 19
47. მამისა პიმენ სალოსისათვის . . . . . —
48. მამისა ანტონისათვის 20
49. მამისა ნიკოლაოზ ქართველ მნათობელისათვის . . . —
50. მამისა დიმიტრი მეოთხისა, მეფისა საქართველოჲსა, ბაგრა-
ტიონისათვის . . . . . —
51. მამისა ჩოლაყაჲსა ძისა ნიკოლაოზ არხიმანდრიტისათვის . 21
52. მამისა პეტრე ჩხატარაჲს ძისა გურიელისათვის . . . —
53. მამისა გრიგორი ხუცეს მონოზონისა დოდორქელისა, ვახვახის
ძისათვის, რომელი იყო ბაზიერთ უხუცესისა ძე . . 22
54. მამისა კოსმა მწიგნობრისათვის . . . . . —
55. მამა იოსებ ფიტარელისათვის . . . . . —
56. მამა გერმანე ხუცისათვის 23
57. მამისა იაკობ სამებელისათვის . . . . . —
58. მამა ევლოგისათვის . . . . . —
59. მამა საბასათვის 24
60. მამისა ანტონი ქართველისათვის . . . . . —
61. მამისა მიქაელისა და სხვებისათვის . . . . . —
62. შოთა რუსთაველისათვის 25
63. სარგის თმოგველისათვის . . . . . —

64. დილარგეთისათვის 25
65. ჩახრუხაძისათვის 26
66. ძაგნაკორელის ხემშიას ძისა იასესათვის . . . —
67. მეფისა თეიმურაზისა პირველისა ბაგრატოანისათვის . . —
68. არჩილ მეფისა მეორისა ბაგრატოანისათვის . . . 27
69. მეფის ვახტანგ მესამისა ბაგრატოანისათვის . . . —
70. მეფისა ოეიმურაზ მეორისა ბაგრატოანისათვის . . . 28
71. სულხან-საბა ორბელიანისათვის . . . . . —
72. ძველთა ქართველთა მოშაირეთათვის (არჩილიანიდან) . . 29
73. ანტონისათვის კათალიკოზისა, მეფის ისაეს ძისა, დავითიან ბაგრატიონისათვის . . . . . —
74. კათალიკოზისა ანტონი მეორისა, მეფის ირაკლის ძისათვის . 30
75. მამისა გაიოზ თაყაშვილისათვის 31
76. ვარლამ ახტალის ეპისკოპოსისა დავით ერისთვის ძისათვის . —
77. იოანე ოსეშვილისათვის 32
78. დავით ალექსიშვილისათვის . . . . . —
79. მიხაილ თბილელისათვის 33
80. ტრიფილე არხიმანდრიტისათვის . . . . . —
81. გამალელი ოს ყოფილისათვის მღვდელ-მონაზონისა და მერე არხიმანდრიტად დარდგინებულისა . . . . . —
82. არხიმანდრიტის ნეოფიტე ოს ყოფისათვის . . . 34
83. გერასიმე მღვდელ-მონოზონისა ტკბილ-მგალობელისათვის . —
84. ღერვასი სამთავნელისათვის 35
85. გაბრიელ ჯვარის დეკანოზის მამისათვის . . . —
86. ზაქარია მოძღვარყოფილისა გაბაშვილისათვის . . . —
87. გლახა ნათისშვილისათვის 36
88. მამიხა ტიმოთე ეპისკოპოზისა ერისთავთ გუარისათვის . . —
89. გერმანე ტფილელისათვის, რომელ იყო პირველ დავით გარეჯის წინამძღვარი . . . . . —
90. ეფთვიმე წინამძღვრისათვის 37
91. თომა წინამძღვრისათვის . . . . . —
92. იოანე წილკნელ ეპისკოპოზისათვის 38
93. მცირე ისაკისათვის . . . . . —
94. ღეონტი ჩოლაყაშვილისათვის . . . . . —
95. სიონის დეკანოზის ყოინიძისათვის . . . . . —
96. ზაქარია წირკნელ ეპისკოპოსისათვის და მერე ამბროსად წოდებულისა 39
97. დოსითეოს ნეკრესელი ეპისკოპოსისათვის . . . —

98. იოანე ნინოწმინდელისა ჯანდიერის შვილისათვის . . 40
99. ისაკ ხუცისა კანდელაკისათვის . . . . . —
100. ხუცესისა ნიკოლოზ გაბაშვილისათვის . . . . . —
101. ნიკოლოზ ბიჭიაშვილისათვის . . . . . —
102. ალექსის შვილნი მწერალ-მგალობელნი 41
103. იასტოს ერასტის შვილი ანდრონიკეს გვარისათვის . . —
104. ნიკოლაოზ ხელაშვილი კახისათვის 42
105. ეგნატი ონისიმეს ძის მარტყოფელისათვის . . . —
106. იოანე ლარაძის დეკანოზისათვის . . . . . —
107. ზაქარია ლალახანაშვილისათვის ხუცესისა . . . 43
108. სხვანი მოწაფენი დავით ალექსის შვილისანი . . . —
109. იოანე ორბელიანისათვის . . . . . —
110. მზეჭაბუკ ორბელიანისათვის მსაჯულისა . . . 44
111. იასე მდივან-მსაჯულისათვის . . . . —
112. სოლომონ ლივანის ძე მდივნისათვის . . . . —
113. ბესარიონ გაბაშვილისათვის 45
114. ზაქარია ვართაპეტისა მადინაშვილისათვის . . . —
115. ტერ-ფილიპესათვის 46
116. ტერ-პეტროზასათვის . . . . . —
117. იესე ქსნის ერისთავი ბიშელერისათვის . . . —
118. დიმიტრი ორბელიანისათვის . . . . . —
119. ვახთანგ ორბელიანისათვის 47
120. ვახუშთი ბუშისათვის ბაგრატიონისა . . . . . —
121. დიმიტრი ციციშვილისათვის . . . . —
122. დიმიტრი ბაგრატიონისათვის . . . . . —
123. ანდრონიკეს შვილი პაატასათვის 48
124. გაბრიელ სომეხისათვის . . . . . —
125. ათანასე თარხნიშვილისა კავთის მონასტრის წინამძღვრისათვის —
126. დოსითეოს ფიცხელაურისათვის კავთისხევის მონასტრისა . 49
127. მამისა ანტონი ჭყოინდელისა დადიანის ძისათვის . . —
128. ღირსი მამისა სერაპიონ ნათლისცემლის მონასტრის წინა-
მძღვრისათვის 50
129. მამის გერმანე დაყუდებულისათვის 51
130. მამისა სვიმეონ გარესჯის წინამძღვრისათვის . . . —
131. ქარუმის ძე ონოფრესათვის 52
132 იოსებ მოხეგისათვის . . . . . —
133. იოსებ კათოლიკოზისათვის . . . . . —

134. ეკლესიის მსახურნი მგალობელ-მწიგნობარნი ქართლსა და იმერეთს 53
135. ბოდბელი მაყაშვილი იოანე . . . . . —
136. ევთვიმე გელათელი გურიის ერისთვის ძე . . . 54
137. დოსითეოზ ქუთათელი . . . . . —
138. ხონის მთავარეპისკოპოზი ყიფავაძე . . . . . —
139. ზაქარია იმერელი . . . . . —
140. ახალნი მთარგმნელნი ქართველნი . . . . . —
შენიშვნა გამომცემელისა 55

II

ყანჩაეთის ტყავის სახარება და მისი მინაწერები. 61—74

——

დამატებითი შენიშვნა-შესწორება.

ეს ჩვენი „საისტორიო მასალანი“ დაიბეჭდა 1909 წელს „ძველი საქართველოს“ I-ს ტომში. ხოლო 1911 წელს, ჩვენდა სასიამოვნოდ, გამოირკვა, რომ პირველი სტატია „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ ამოღებული ყოფილა იონა ხელაშვილის „კალმასობის“ მეორე ნაწილიდან, რომელიც აღმოაჩინა ბ-ნმა სამ. ცომაიამ პეტერბურგის საჯარო წიგნთ-საცავში ბატონიშვილის იოანეს ხელთნაწერთა შორის № 8. (იხილე „სახალხო გაზეთი“ 1911 წ. № 228). ბ-ნ ცომაიას წერილიდან სჩანს, რომ ეს ცნობები მოუთხოვია პეტერბურგის მიტროპოლიტს ამბროსის იონა ხელაშვილისაგან. ამით ვასწორებთ შენიშვნას, რომელიც ზემოთ არის დაბეჭდილი (იხ. გვ. 55—60). ჩვენი მოსაზრება სტატიის დაწერის დაახლოებით დროს შესახებ და აგრეთვე ის, რომ ცნობები ავტორს შეკვეთილი უნდა ჰქონოდა რომელიმე რუსის სამართველოს წარჩინებულის პირისაგან და, სხვათა შორის, სინოდის თავმჯდომარისაგან, გამართლდა: პეტერბურგის მიტროპოლიტი თავმჯდომარეა სინოდისა. მიტროპოლიტი ამბროსი გადაიცვალა 1818 წელს. არ გამართლდა მოსაზრება, ვითომც ავტორი „მცირე უწყებათა“ თეიმურაზ ბატონიშვილი ყოფილიყოს. ამას გარდა უნდა შევნიშოთ: თუმცა ჯერ კიდევ 1861 წ.

„კალმასობის“ პირველის ნაწილის წინასიტყვაობაში (იხ. „ცისკრის“ რედაქციის გამოცემა 1862 წ. გვ. XXIII) დ. ბაქრაძე სწერდა, რომ „მეორე ნაწილი კალმასობისა აქვსო პეტერბურგში მცხოვრებს იოანე ბატონიშვილის შვილის შვილსო“, და ცნობილი იყო, რომ იოანე ბატონიშვილის ხელთნაწერები შეიძინა პეტერბურგის საჯარო წიგნთ-საცავმა, მაგრამ ეს წიგნი ბ-ნ ცომაიამდის არავის არ მოუნახავს იოანეს ხელთნაწერებთა შორის. ჩვენ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას განზრახვა აქვს გამოსცეს მეორე ნაწილი კალმასობისა.

———

ცთომილებანი.

გვ.	სტრ. ზემოდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
56	25	პირველ	პირველი
„	29	ქართული	ქართველი
61	2	1808	1908

Академия Наук Груз. ССР
Фундаментальная библиотека